# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 23 ივლისი 2005 №166 (2489) ფასი 50 თეთრი


# ალენ ჰოპ!

## ქართული ორევუარი ალენ ჟირესს





# მაშ, არ მერგება, არა?!

## ახალკაცმა ჟირესი უპარდონოდ დაითხოვა

...ამ კონტრაქტით თქვენ ერთი თეთრიც არ გერგებათ, ნაკრებიდან თავისუფალი ბრძანდებით — დაახლოებით ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი საქართველოს ნაკრების აწ ყოფილ მწვრთნელ ალენ ჟირესს. ფრანგი აღშფოთდა და ფედერაციის შენობა გაოგნებულმა დატოვა, თუმც იქამდე დაიბარა — მაშ, არ მერგება, არა?!

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად უკონკურენტოდ არჩეულ ნოდარ ახალკაცისგან მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე იგრძნობოდა, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ალენ ჟირესს დიდი დღე არ ეწერა. ახალკაცი პირდაპირ არ ამბობდა, მწვრთნელი უნდა დავითხოვოო, თუმც მინიშნებას ჟირესის გათავისუფლების თაობაზე, განსაკუთრებით ბოლო დროს, ხშირად აკეთებდა.

— ჩვენ ჟირესს ბონუსის სახით 70 ათასს ვერ გადავუხდით, ეს თანხა არ გვაქვს...

— ჩვენთვის მიუღებელია, რომ ალენ ჟირესი ნაკრების მატჩამდე ორი კვირით ადრე ჩამოდის თბილისში. მას აქ უფრო მეტი დროის საქმე აქვს...

— ალენ ჟირესთან ურთიერთობა კიდევ გასარკვევი გვაქვს...

ნოდარ ახალკაცმა ეს მაშინ თქვა, როცა ფედერაციის აღმასკომს გენერალურ მდივნად გრიგოლ ცაავას დამტკიცება სთხოვა. ახალკაცმა ჟირესს ერთი კვირის წინ უკვე აშკარად შეუტია და ცხადი გახდა, ფრანგი ნაკრებს დაემშვიდობებოდა. საკითხავი ისღა იყო, ჟირესი ნაკრებში კონტრაქტის ბოლომდე, ანუ დეკემბრამდე თუ იმუშავებდა. თუმც ახალკაცმა მწვრთნელის გათავისუფლება ახლავე ინება...

ახალკაცი და ჟირესი ერთმანეთს ხუთშაბათს ღამით შეხვდნენ. მათი საუბრის სტენოგრამა, აბა, ჩვენ საიდან, თუმც ცოტა-ცოტა, რაც იმ ღამით ითქვა, კი გავიგეთ.

ფედერაციის პრეზიდენტს ალენ ჟირესისთვის, ნაკრებიდან უნდა წახვიდეო, პირდაპირ, თავიდანვე არ უთქვამს, ალბათ, მოერიდა და ასეთი ფორმით მიუმართავს, ხელფასს ვეღარ გადაგიხდით და თუ თანახმა იქნებით, დეკემბრამდე უხელფასოდ იმუშავეთო. ჟირესს უპასუხია, თანახმა ვარ და არც იმ საბონუსო თანხის გადახდას გაჩქარებთ, ვალი ნელ-ნელა გამისტუმრეთო. ფედერაციის პრეზიდენტისთვის მწვრთნელის ენთუზიაზმი მისაღები გამოდგა, შეთანხმდნენ კიდეც, ჟირესი კონტრაქტის ბოლომდე უხელფასოდ იმუშავებდა, მაგრამ...

ნოდარ ახალკაცმა ჟირესი ცოტა ხანში ისევ დაიბარა. მწვრთნელს პრეზიდენტი უკვე იურისტთან ერთად დახვდა და ის სიტყვებიც მაშინ უთხრა, რითაც ამ ამბის მოყოლა დავიწყეთ. ჟირესმა ხელები გაასავსავა, მერე ტელეფონის ნომერი აკრიფა და თვისტომ ჟერარ შამპანს, უეფას გენმდივნის მოადგილეს, მოგვიანებით კი მეგობარ მიშელ პლატინის დაუკავშირდა. სატელეფონო საუბრის შემდეგ ალენ ჟირესი უფრო მხნედ ჩანდა...

შეგახსენებთ, ალენ ჟირესი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად სწორედ მიშელ პლატინის რეკომენდაციით დაინიშნა, დღევანდელ ფეხბურთში პლატინის გავლენაზე ლაპარაკი კი, ცხადია, ზედმეტია...

**კობა ინასარიძე**

# არ გინდა ჟირესი? დანიშნე უკეთესი!

## ეს ვინმე ვილაცაშვილი კიდევ აქ არის?!

**ფაქტის** წინაშე ვართ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან ფრანგი ალენ ჟირესი გაანთავისუფლა. არ უნდა ლაპარაკი, დიდი მოვლენაა. შესაძლოა, დღევანდელ საქართველოში ფეხბურთი ადრინდელივით მთელი ერის ცხოვრების ნაწილს აღარ წარმოადგენს, მაგრამ სპორტის ეს სახეობა ხალხის ანგარიშგასაწევი ნაწილისთვის მაინც მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, თუ საქმე ყველა ქართველის გუნდს, ნაკრებს ეხება და...

ჟირესის შესახებ დავა კი ახალი არაა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, თურქეთს ტრაპიზონში 1:1 ეთამაშა, ალბანეთს 2:0 მოუგო და დანიასთან მატჩი 2:2 დაასრულა — დაგვეთანხმებით, ცუდი შედეგები არ არის — გამოჩნდა ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ ფრანგი გუნდს შემტევ ფეხბურთს არ ათამაშებს და ამიტომ ქართველთა ნაკრების მწვრთნელობა არ შეეფერება. კი ბატონო, მოსაზრებაა, პატივი ვცეთ, მაგრამ... ესეც ჭეშმარიტებაა: როდესაც ვინმეს გაშვებას აპირებ, უკეთესი კანდიდატურა უნდა გქონდეს მოფიქრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი... წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმანი, უცნაური იქნება ყველაფერი. და ღმერთმავე დაგვიფაროს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ ხელისუფლებას არჩევის ლამისაა მეორე დღესვე გადაბრუნებული სიტყვა ვაკადროთ. ამიტომ, ლოგიკიდან გამომდინარე, მისგან ჟირესზე მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელს ველით.

ახლა, მოდი, საკუთარ თავს ვკითხოთ, ვის და რას ეწოდება ჟირესზე მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი? სადღაც შორს, დემაგოგების ქვეყანაში ასე მოიქცეოდნენ: დანიშნავდნენ ახალ მწვრთნელად „ვინმე ვილაცაშვილს“ და იტყოდნენ, რომ მათი რწმენით, სწორედ ეს კაცია ჟირესზე ძლიერი მწვრთნელი.

მაგრამ, ფაქტია, დღევანდელ საქართველოში ასე არ მოხდება. ასე მოქცევას პატიოსანი ხალხისთვის აზრი არ აქვს და იმიტომ. ხომ ნათელია, რომ „ვინმე ვილაცაშვილი“ ნაკრებს ვერ მოაგებინებს, ის მხოლოდ გარდაუვალ მოხსნამდე ფულის საშოვნელ დროს მოაგებინებს ვილაც-ვილაცებს, რომელთაც იმთავითვე კარგად იცოდნენ, რომ მწვრთნელს მოგებისთვის არც ნიშნავდნენ.

ამიტომაც მოგახსენებთ, ფედერაციისგან ახალ მწვრთნელად ისეთ კაცს ველით, ვისაც შესაძლოა სახელად ფაბიო კაპელო არ ერქვას, მაგრამ ჩვენ, ყველანი, უბრალო მოკვდავები, ვიტყვით, რომ მის ხელში შანსი გვაქვს.

**პაპუნა ძედია**

### ჟირესის საქართველოს ნაკრები

27.05.2004
ამხანაგური მატჩი
**საქართველი 0:1 ისრაელი**

18.08.2004
ამხანაგური მატჩი
**მოლდოვა 1:0 საქართველო**

04.09.2004
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**თურქეთი 1:1 საქართველო**

08.09.2004
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**საქართველო 2:0 ალბანეთი**

13.10.2004
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**უკრაინა 2:0 საქართველო**

17.11.2004
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**საქართველო 2:2 დანია**

09.02.2005
ამხანაგური მატჩი
**საქართველო 1:0 ლიტვა**

26.03.2005
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**საქართველო 1:3 საბერძნეთი**

30.03.2005
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**საქართველო 2:5 თურქეთი**

04.06.2005
მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
**ალბანეთი 3:2 საქართველო**

ალენ ჟირესის არაოფიციალური ქართული დებიუტი შედგა 2004 წლის 30 მარტს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში (2:2)

### შვედეთი

თასის მეოთხედფინალი
ოლმე 0:6 *იურგორდენი*

### ირლანდია

პრემიერლიგა
XVII ტური
ბოჰემიანსი 3:2 დროჰედა
ბრეი 2:2 შელბურნი
კორკ სიტი 3:0 შემროკი
დერი სიტი 3:0 დუბლინი
სენტ პატრიკსი 1:0 უოტერფორდი

### შვეიცარია

სუპერლიგა
მეორე ტური
თუნი 3:0 ბაზელი
ჩელენჯლიგა
მეორე ტური
კონკორდია 4:1 ბოლმი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა
მესამე ტური
დინამო 4:0 სტალი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
III ტური
ავსტრია (ლ) 2:1 გრატკორნი
ავსტრია (მ) 4:0 კუფშტაინი
ლინცერი 0:0 ალტახი
ლეობენი 1:1 კერნტენი
შვაინშტადტი 0:0 კაპფენბერგი

### სლოვენია

სი მობილ ლიგა. I ტური
დომჟალე 2:0 ნაფტა

*ალენ ჟირესი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარაა; 21-წლამდელთა ნაკრებს ჩამოაშორეს გოჩა ტყებუჩავა და მის ნაცვლად გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი გაწვრთნის; დამტკიცდა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის დებულება — ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე, რომლის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ, თუმც მედიასთან მხოლოდ ახალკაცს მოუნია საუბარმა...*



# ნოდარ ახალკაცი: ახლა ექსპერიმენტების დროა

— დღეს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის და თასის მე-16 გათამაშების დებულებები ჯერ პროფესიულმა ლიგამ მიიღო და მერე ის აღმასკომმა დაამტკიცა. უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ითამაშებს. აღმასკომმა გამოაცხადა ამნისტია იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც წინა სეზონში მიიღეს დისკვალიფიკაცია, სასჯელისგან გავათავისუფლეთ „ტორპედოს" სტადიონიც. ეს ამნისტია ითვალისწინებს ფინანსური სასჯელის მოხსნასაც.

— **სხდომაზე ბოლოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხი განიხილეთ** — აღმასკომის გადაწყვეტილებით ალენ ჟირესი გათავისუფლდა თანამდებობიდან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ჟირესს შორის გაფორმებულ კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვით ჟირესი ვალდებულია, უზრუნველყოს გუნდის ისეთ დონეზე მომზადება, რომ შესაძლებელი გახდეს შესარჩევ ციკლში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟირესი კონტრაქტით ვალდებული იყო, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაეყვანა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟირესმა ვერ მოახერხა გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა, ვერ მოამზადა გუნდი პირველ თუ მეორე ადგილზე გასასვლელად.

— აღმასკომმა განიხილა 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის საკითხიც. რადგან გუნდს წარმატებული შედეგი არ აქვს, გოჩა ტყებუჩავა და მისი თანაშემწე ნიკა ჩხეიძე გათავისუფლდნენ პოსტიდან. ახალგაზრდული ნაკრებების თავკაცად კობა ჟორჟიკაშვილი იმუშავებს, ის ამავდროულად 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელიც იქნება.

— **ვინ იქნება ჟირესის შემცვლელი?**

— ჩვენი პოზიცია ასეთია — ჯერ დავისახოთ მიზანი და მერე მოვძებნოთ მწვრთნელი. შესარჩევ ციკლში ხუთი მატჩი დაგვრჩა და მაქსიმალურად ვცდილობთ, ნაკრებს ამხანაგური შეხვედრებიც მოვუწყოთ — ვფიქრობ, ახლა ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება გვაქვს და გეზი ნაკრების გაახალგაზრდავებისკენ უნდა ავიღოთ. დღესვე უნდა მივცეთ შანსი პერსპექტიულ ახალგაზრდებს. გაახალგაზრდავდება 21-წლამდელთა ნაკრებიც. ადრე ნაკრებში ვერ მოხვდებოდი, თუ მეორეხარისხოვან უცხოურ კლუბში არ თამაშობდი. მოკლედ, სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შევცვალოთ. 21-წლამდელთა ნაკრების ბირთვი 19-წლამდელთა ნაკრების ის ფეხბურთელები იქნებიან, იტალიაში ახალგაზრდულ ფესტივალზე ოქროს მედლები რომ მოიპოვეს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდული ნაკრები მხოლოდ 1987-88 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტდება.

...ახალგაზრდული ნაკრები 8 აგვისტოს ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანელებს უმასპინძლებს.

— **ჟირესი ვადამდე რომ ჩამოსცილდა თანამდებობას, კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა სრულად ეკუთვნის?**

— ჟირესის დავალიანება 22 ივლისამდე გაწეული მუშაობისთვის გვმართებს, რაც დაახლოებით 80 000 დოლარს შეადგენს, კონტრაქტი კი ჟირესს ფედერაციასთან დეკემბრის ბოლომდე აქვს. ჟირესს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სრულად უნდა გადაუხადოს თუ არა, ამას ფიფა გადაწყვეტს. მაგრამ რადგან კონტრაქტის ზემოხსენებული 3.1 პუნქტის თანახმად, ჟირესს უნდა უზრუნველეყო ნაკრების ისე მომზადება, რომ გუნდისთვის შესაძლებელი გამხდარიყო შესარჩევ ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა, არის იმის ალბათობა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის სრულად გადახდამ არ მოგვიწიოს. პოდა, ვალდებული ვარ, ფედერაციას რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მივაყენოთ. რაც შეეხება ჩვენი ფედერაციის პრესტიჟის საკითხს იმ შემთხვევაში, თუ ფიფა ჟირესისთვის საკონტრაქტო თანხის გადახდას დაგვაკისრებს, პრესტიჟი ფედერაციას უკვე იმით აქვს შელახული, რომ როცა მწვრთნელთან კონტრაქტს აფორმებდა, არ იცოდა იმ შემოსავლის წყარო, რითაც მისთვის ხელფასი უნდა გადაეხადა. ახლა ისეთი მწვრთნელი უნდა შევარჩიოთ, ვინც მომავალ შესარჩევ ციკლშიც უხელმძღვანელებს ნაკრებს. დღეს არ ვართ მზად, გადავიხადოთ ისეთი თანხა, როგორსაც ოტო რეჰაგელს უხდიან და არც ქართული ფეხბურთია მზად ასეთი მწვრთნელისთვის. ამ დღეებში გერმანიაში მივდივარ, რათა კონსულტაციები გავიარო ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის დანიშვნის საკითხში.

— **ნაკრების ბირთვი შეიცვლება?**

— ნაკრების ბირთვი შესაცვლელი არაა, გადახალისებაში იგულისხმება მესამეხარისხოვანი უცხოური კლუბებიდან მოწვეული ფეხბურთელების შეცვლა. ახლახან დავით მუჯირის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის ამბობს, რომ კარგ ფორმაში ადრეც ყოფილა, მაგრამ ნაკრებში მაინც არ იწვევდნენ. ვფიქრობ, ფეხბურთელს ასეთი რამის თქმის საფუძველი არ უნდა ეძლეოდეს.

— **ჟირესს გაიოზ დარსაძე ხომ არ შეცვლის?**

— დარსაძე იყო და დარჩება ნაკრები გუნდების ტექნიკურ დირექტორად. სწორედ მისი დახმარებით მოამზადა ჟორჟიკაშვილმა გუნდი იტალიაში ოქროს ასაღებად. დარსაძე ქართველ მწვრთნელთა მომზადებას ხელმძღვანელობს და თავისი თანამდებობიდან გამომდინარე საქართველოში ყველაზე მცოდნე ფეხბურთის სპეციალისტია. ბუნებრივია, მის კანდიდატურას ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე განვიხილავთ, მაგრამ ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ჩვენთვის მთავარია, სწორი პოლიტიკა გავატაროთ ნაკრებებში.

— **ადრე ჟირესზე აუგს არ ამბობდით, პირიქით...**

— სიტუაციიდან გამომდინარე პოზიცია შევიცვალე. მართალია, მას არ ჰქონდა სათანადო სამუშაო პირობები, მაგრამ მან გააფორმა კონტრაქტი. მან მითხრა, სიტუაციის მსხვერპლი ვარო, მე კი მიმაჩნია, რომ მთავარი მსხვერპლი ქართული ფეხბურთია. მე და ჟირესი ერთმანეთს მეგობრულად დავშორდით, მსურდა, განშორება ლამაზად მომხდარიყო, მაგრამ...

— **ეროვნულ ნაკრებს მორიგი მატჩი 17 აგვისტოს აქვს ყაზახეთში — როდის დაინიშნება ახალი მწვრთნელი?**

— ბუნებრივია, ყაზახეთში გუნდი უმწვრთნელოდ არ წავა.

— **გასაგებია, მაგრამ ყაზახეთთან მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა ვინაობა ორი კვირით ადრე ხომ უნდა იყოს ცნობილი?**

— შემადგენლობის დადგენას და ფეხბურთელების გამოძახებას მთავარი მწვრთნელი არ სჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

# გოჩა ტყებუჩავა OUT

## საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კობა ჟორჟიკაშვილი გაწვრთნის

*გოჩა ტყებუჩავა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი აღარაა.*

*რა უნდა ითქვას, ეს ამბავი მოსალოდნელიც იყო — ნაკრების სამწვრთნელო შტაბში საკადრო ცვლილებები რომ იქნებოდა, ამაზე 11 ივნისის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ მუდმივად ლაპარაკობდნენ. შეიძლება ითქვას, ტყებუჩავამ მთლად წარმატებით ვერ იმუშავა ქართველ ახალგაზრდებში, თუმც ბოლო თამაში ალბანეთში მოგებით კი დაასრულა. მის ნაცვლად 21-წლამდელებს*

*ის კობა ჟორჟიკაშვილი გაწვრთნის, რომლის თავკაცობითაც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა ახლახან ლინიანოს ახალგაზრდული ფესტივალი მოიგო.*

*ბატონმა გოჩამ კი მისი მოხსნის ამბავი გუშინ ნაღვლიანად დაგვიდასტურა...*

— გუშინ ღამე დამირეკეს ფედერაციიდან და მითხრეს, მწვრთნელობიდან გათავისუფლებული ხარო. ჩემთან ერთად ალენ ჟირესიც მოხსნეს...

— **თქვენთვის ეს მოულოდნელი იყო?**

— არა, გარკვეულწილად ველოდი. უბრალოდ, არ მეგონა, ასე უცებ თუ მოხდებოდა ეს ამბავი.

— **მიზეზად რა დაგისახელეს, მხოლოდ შედეგები დაგიწუნეს?**

— არავითარი მიზეზი არ უთქვამთ, დამირეკეს და მორჩა. არც მე ჩავძიებივარ.

— **ალბათ, გულდაწყვეტილი ხართ...**

— რა თქმა უნდა. როგორ არაა გულდასაწყვეტი, ძლივს რაღაც გავაკეთეთ, ახალგაზრდული ნაკრები გუნდს დაემსგავსა და უცებ

— **არ აპირებთ თქვენი მოხსნის მიზეზის გაგებას?**

— არა მგონია... ამჟამად თბილისში არ ვიმყოფები და საერთოდ ამ თემაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. ისედაც გადაწყვეტილია ყველაფერი.

— **ახლა რას ფიქრობთ, რომელიმე გუნდს ხომ არ ჩაიბარებთ?**

— არ ვიცი, ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**ილია ნანობაშვილი**



გოჩა ტყებუჩავა



კობა ჟორჟიკაშვილი

# დინამომ ახლები დანომრა

**თბილისის „დინამომ"** დანიურ „ბრონდბიუსთან" თამაშის წინ ორ ფეხბურთელს, მცველ ალეკო ამისულაშვილსა და თავდამსხმელ სანდრო იაშვილს სათამაშო ნომრები მისცა. ამისულაშვილი 30 ნომრით, იაშვილი კი 23-ით ითამაშებს. ორივე მათგანს „ბრონდბიუსთან" თამაში შეუძლია — ისინი უკვე განაცხადში არიან.

რაც შეეხება კოტე დარსანიას, მის ყოფილ კლუბს, ბულგარულ „ჩერნო მორეს" ფეხბურთელისთვის გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ მიუცია. შესაბამისად, „დინამომ" დარსანია ჯერ ვერ შეიყვანა განაცხადში.

**ლუკა თალაკვაძე**

# საქართველოს 17 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## კალენდარი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

30 ივლისი, შაბათი
დილა – სპარტაკი
ბათუმი – ბორჯომი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
სოხუმი – ცხინვალი
კახეთი – დინამო
31 ივლისი, კვირა
თბილისი – ზესტაფონი
1 აგვისტო, ორშაბათი
ტორპედო – ამერი
ლოკომოტივი – სიონი

**მეორე ტური**

6 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – სოხუმი
ბორჯომი – კოლხეთი
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ლოკომოტივი
7 აგვისტო, კვირა
ამერი – ზესტაფონი
დინამო – თბილისი

**მესამე ტური**

19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი – ბორჯომი
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ამერი
დილა – ტორპედო
ბათუმი – სიონი
კოლხეთი – სპარტაკი
ზესტაფონი – დინამო
კახეთი – ვიტ ჯორჯია
21 აგვისტო, კვირა
თბილისი – ცხინვალი

**მეოთხე ტური**

27 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი – სოხუმი
ცხინვალი – ზესტაფონი
28 აგვისტო, კვირა
ამერი – დინამო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
ბორჯომი – კახეთი
სიონი – კოლხეთი
ტორპედო – ბათუმი
29 აგვისტო, ორშაბათი
ლოკომოტივი – დილა

**მეხუთე ტური**

9 სექტემბერი, პარასკევი
სოხუმი – სიონი
10 სექტემბერი, შაბათი
დილა – ამერი
ბათუმი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
კახეთი – სპარტაკი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
დინამო – ცხინვალი
11 სექტემბერი, კვირა
თბილისი – ბორჯომი

**მეექვსე ტური**

16 სექტემბერი, პარასკევი
სპარტაკი – თბილისი
17 სექტემბერი, შაბათი
ამერი – ცხინვალი
ბორჯომი – ზესტაფონი
სიონი – კახეთი
ტორპედო – სოხუმი
დილა – ბათუმი
18 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – დინამო
ლოკომოტივი – კოლხეთი

**მეშვიდე ტური**

24 სექტემბერი, შაბათი
დინამო – ბორჯომი
25 სექტემბერი, კვირა
ბათუმი – ამერი
კოლხეთი – დილა
სოხუმი – ლოკომოტივი
კახეთი – ტორპედო
ზესტაფონი – სპარტაკი
26 სექტემბერი, ორშაბათი
თბილისი – სიონი

**მერვე ტური**

30 სექტემბერი, პარასკევი
ამერი – ვიტ ჯორჯია
1 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი – ცხინვალი
სიონი – ზესტაფონი
ტორპედო – თბილისი
დილა – სოხუმი
ბათუმი – კოლხეთი
2 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი – დინამო
ლოკომოტივი – კახეთი

**მეცხრე ტური**

14 ოქტომბერი, პარასკევი
სოხუმი – ბათუმი
15 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი – ამერი
კახეთი – დილა
თბილისი – ლოკომოტივი
ზესტაფონი – ტორპედო
ცხინვალი – სპარტაკი
16 ოქტომბერი, კვირა
დინამო – სიონი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი

**მეათე ტური**

22 ოქტომბერი, შაბათი
ამერი – ბორჯომი
დილა – თბილისი
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – სოხუმი
23 ოქტომბერი, კვირა
სიონი – ცხინვალი
ტორპედო – დინამო
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ზესტაფონი

**მეთერთმეტე ტური**

30 ოქტომბერი, კვირა
სოხუმი – ამერი
კახეთი – კოლხეთი
ზესტაფონი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
ცხინვალი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბორჯომი – სპარტაკი
31 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი – ბათუმი

**მეთორმეტე ტური**

5 ნოემბერი, შაბათი
ამერი – სპარტაკი
სიონი – ბორჯომი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ზესტაფონი
კოლხეთი – თბილისი
6 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი – ცხინვალი
დილა – დინამო
სოხუმი – კახეთი

**მეცამეტე ტური**

13 ნოემბერი, კვირა
კახეთი – ამერი
თბილისი – სოხუმი
ზესტაფონი – კოლხეთი
დინამო – ბათუმი
ცხინვალი – დილა
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ბორჯომი – ტორპედო
14 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი – სიონი

**მეთოთხმეტე ტური**

19 ნოემბერი, შაბათი
ამერი – სიონი
ტორპედო – სპარტაკი
ლოკომოტივი – ბორჯომი
დილა – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ცხინვალი
კოლხეთი – დინამო
კახეთი – თბილისი
20 ნოემბერი, კვირა
სოხუმი – ზესტაფონი

**მეთხუთმეტე ტური**

26 ნოემბერი, შაბათი
თბილისი – ამერი
ცხინვალი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ბორჯომი – დილა
სიონი – ტორპედო
27 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი – კახეთი
დინამო – სოხუმი
28 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი – ლოკომოტივი

**სათასო დღეებია: 23-24 აგვისტო, 4-5 და 13-14 სექტემბერი, 8-9 ნოემბერი, 2-4 დეკემბერი**

# ბორჯომს მადა ჭამაში მოჰყვა
## სოსო ფრუიძე: ფიზიკა და შეთამაშება — დანარჩენი რიგზეა

**უმაღლეს** ლიგაში აღზევებულმა „ბორჯომმა" ბათუმური შეკრება გუშინ დაასრულა და ჩემპიონატის დაწყებამდე თბილისში მოემზადება. სოსო ფრუიძის გუნდი არაფერს უჩივის — ამბიციები, ძლიერი შემადგენლობა, კარგი პირობები... სხვა რაღაა საჭირო საქართველოში წარმატების მისაღწევად?! ფრუიძეც იმედიანადაა, თუმცა ისიც მშვენივრად იცის, რომ პირველ ტურებში „ბორჯომს" ალბათ გაუჭირდება. რატომ? ეს თავად ქართლელთა თავკაცისგან გავიგოთ...



„ბათუმში სრულფასოვნად მოვემზადეთ, დღეში ორ-სამჯერ ვვარჯიშობდით. ფიზიკური კონდიციები დღეს ფეხბურთში ძალიან ბევრს ნიშნავს და პირველ რიგში სწორედ ამაზე ვმუშაობდით. სამი საკონტროლო მატჩი გავმართეთ, მაგრამ გუნდის რეალური სახე მთლიანად ჯერ არ ჩამოყალიბებულა. რა თქმა უნდა, ფიზიკურ მზადყოფნასთან ერთად, „ბორჯომის" პრობლემა შეთამაშება იქნება. თითქმის სრულიად ახალი გუნდი გვყავს, ახალწვეულები სხვადასხვა სპეციფიკას, სხვადასხვა ტაქტიკას არიან მიჩვეულები და თითოეულის ერთიან სისტემაში ჩასმა გარკვეულ დროს მოითხოვს. კარგი ისაა, რომ ახლებიდან ბევრი მოთამაშე ერთმანეთს იცნობს: მაგალითად, ექვსი ფეხბურთელი „თბილისიდანაა", ორი „ტორპედოდან".

მოკლედ, მთლად ისეც არა საქმე, „ბორჯომმა" მაგარი შემადგენლობა დააყენა და სოსო ფრუიძეს საქმე აწყობილი აქვსო.

ახლა ტრანსფერებზე, რომლებზეც ბორჯომელებმა ძალიან ბევრი იმუშავეს: ექსთბილისელები — რევაზ გეწაძე, მიხეილ მესხი, გიორგი ლოლაძე, შოთა ჯიქია, ბესიკ მიქიაშვილი და თორნიკე აფციაური, ყოფილი ვიტჯორჯიელი ვლადიმერ გოჩაშვილი, ტორპედოელები — გიორგი მემარნიშვილი, დავით ბაქრაძე და რევაზ ჯიქია, კვიპროსიდან წამოსული გიორგი ქორიძე, პაატა ჩოხელი „ბათუმიდან", მეკარეები ზურაბ მამალაძე „დინამოდან" და დავით მამარდაშვილი „ზესტაფონიდან".

ფრუიძის თქმით, აფციაურის ოფიციალურად გაბორჯომელება ჯერ არ გადაწყვეტილა, მაგრამ ორ-სამ დღეში, ალბათ, ამ საკითხსაც მოებმება თავი. წინა სეზონის „ბორჯომიდან" კი გუნდში დარჩნენ პაატა გვირჯიშვილი, ალექსანდრე ბურნაძე, თენგიზ სუხიაშვილი, იური გაბისკირია და რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა.

რაც შეეხება სავარაუდო ახალწვეულებს, ისინი თავდამსხმელი მიხეილ კაკალაძე და ნახევარმცველი კობა შალამბერიძე არიან, რომლებმაც უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოში" ითამაშეს ბელარუსულ ბატესთან. ფრუიძემ ისიც გვითხრა, რომ თითქმის გადაწყვეტილია „ბორჯომში" ლაშა ჭელიძის გადასვლაც. ლაშა თბილისის „დინამოდან" წასვლის შემდეგ ლიტვურ „კაუნასში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ისევ საქართველოში დაბრუნდა.

„შესაძლოა ასი პროცენტით არა, მაგრამ „ბორჯომის" შემადგენლობა თითქმის დაკომპლექტებულია. საბოლოო საჩემპიონატო განაცხადი ჯერ არ გაგვიკეთებია, რადგან ერთი ფორვარდის დამატებას კიდევ ვაპირებთ და ვნახოთ, როგორ გამოგვივა ეს საქმე".

ბორჯომელთა მთავარმა მწვრთნელმა, ცხადია, მიზნებზეც გვითხრა. ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ და, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო.

აქვე ვთქვათ, რომ „ბორჯომმა" გუშინ ბოლო ტესტ-თამაში გამართა ბათუმიდან წამოსვლის წინ და თელავის „კახეთს" 3:1 მოუგო. თავიდან კახელები იგებდნენ, მაგრამ რევაზ და შოთა ჯიქიების და პაატა გვირჯიშვილის გოლებით ქართლელებმა იძალეს. იქამდე ფრუიძის გუნდმა „ბათუმსაც" მოუგო 2:1, ხოლო ბოლნისის „სიონთან" 3:6 წააგო. ჩემპიონატის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის დებიუტანტი საკონტროლო მატჩებს აღარ ჩაატარებს.

და კიდევ: გადაწყდა, რომ „ბორჯომი" საშინაო თამაშებს ისანში, „ოლიმპის" სტადიონზე გამართავს, დაახლოებით სექტემბრის შუიდან კი თბილისური სარბიელიდან მშობლიურ ქალაქში გადაინაცვლებს. ფრუიძის თქმით, იმ დროისთვის ბორჯომის სტადიონზე მინდორიც მწყობრში იქნება და მთავარი ტრიბუნაც.

**ილია ნანობაშვილი**

# დილას ფული, საღამოს ჩემპიონატი
## აუქციონი ინკოგნიტო სპონსორებმა ჩაშალეს?

**სიკვდილის** პირას მისული გორის „დილა" გონზე მოდის. კლუბის ახალი ხელმძღვანელობა სპონსორებს ეძებს და ორი მათგანისთვის უკვე მიუგნია კიდეც, ოღონდ, როგორც ხდება ხოლმე, ფირმების გამხელისგან გორელებმა თავი შეიკავეს.

აი, რა გვითხრა გუშინ „დილას" პრეზიდენტმა არჩილ ბეგიაშვილმა: „რამდენიმე წუთის წინ შევხვდი სპონსორებს და თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით. მცირე დეტალებილა დარჩა გასარკვევი და ეგ არის. ჩათვალეთ, რომ „დილამ" სული მოითქვა".

კითხვაზე, თუ რომელმა ფირმებმა იკისრეს „დილას" სპონსორობა, ბეგიაშვილმა გვიპასუხა: „ამას ჯერ ვერ გეტყვით. არ მინდა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე გავახმაურო".

კი მაგრამ, უმჯობესი არაა, საზოგადოებამ იმ ხალხის ვინაობა გაიგოს, ვინც ფეხბურთში ფულს დებს?

„ამას ჩემპიონატის წინ უფრო დიდი ეფექტი ექნება" — მიაჩნია ბეგიაშვილს, რომელსაც „დილას" აუქციონზე შესაძლო გაყიდვაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...

„ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია. ჩვენი მიზანია, გუნდს სპონსორი მოვუძიოთ და გაიყიდება თუ არა „დილა" აუქციონის წესით, მთავრობა გადაწყვეტს" — დასძინა ბეგიაშვილმა.

აქვე გეტყვით, რომ „დილაში" ორი ახალწვეულია — გიორგი ბალაშვილი „ბორჯომიდან" და კახა წულუწუნავა ქუთაისის „ტორპედოდან". ახლები სხვებიც არიან, თუმცა ძირითადად განსინჯვებზე და თანაც უცნობი ახალგაზრდები.

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა დღემდე ორი ამხანაგური მატჩი გამართა: „აგარას" 3:0 მოუგო, ხოლო „გაგრასთან" 0:1 დამარცხდა.

**კახა შალამბერიძე**

# მისი ჯილა იქ ყოფილა

## ჯილარდინო მილანს ამერიკაში არ გაჰყვა

*„მილანის“ ხელმძღვანელობამ გუშინ ალბერტო ჯილარდინო ოფიციალურად წარუდგინა ჟურნალისტებს და ფეხბურთელმაც კიდევ ერთხელ ილაპარაკა თავის გეგმებზე თუ სურვილებზე. იგი გულშემატკივრებს კარგ თამაშსა და ბევრ გოლს შეჰპირდა*



„მილანის“ გენერალური მენეჯერი არიედო ბრაიდა და ალბერტო ჯილარდინო

„აქ გადმოსვლა ჩემი ოცნება იყო. უკვე თითქმის ერთი წელია, რაიმეს ტიტულების მოგება მინდა, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის. „მილანი“ ერთადერთი გუნდი გახლდათ, რომელსაც ნამდვილად და ყველაზე მეტად სურდა ჩემი შეძენა. „როსონერი“ მართლაც უნიკალური და ევროპის უძლიერესი კლუბია. მეც ყველა პირობა მაქვს იმისთვის, რომ თავი გამოვიჩინო“ — განაცხადა 23 წლის ფორვარდმა.

ჟურნალისტებმა „პარმას“ ყოფილ თავდამსხმელს „მილანში“ არსებულ კონკურენციაზეც ჰკითხეს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფეხბურთელს ეს არ აშინებს. შეგახსენებთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის მას . ანდრეი შევჩენკოსთან, კრისტიან ვიეირასთან და ფილიპო ინძაგისთან მოუწევს ჭიდილი.

ალბერტო ჯილარდინო: „ვიცი, რომ სერიოზული კონკურენცია იქნება. დიდ კლუბებში ყოველთვის ასეა, თუმც აქ შემართებით ჩამოვედი და ვეცდები, თავი საუკეთესოდ წარმოვაჩინო. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია. ამავე დროს ისიც მესმის, რომ „მილანი“ და „პარმა“ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. მაგალითად, გასულ სეზონში გუნდის მთელი თავდასხმა და მისი კარგი თამაში ჩემზე და დომენიკო მორფეოზე იყო დამოკიდებული“.

„შავ-წითლების“ ახალწვეულმა ბოლოს თავის კერპებზეც თქვა ორიოდე სიტყვა: „მე ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი „მილანის“ ყოფილ ვარსკვლავ მარკო ვან ბასტენით და გაბრიელ ბატისტუტათი, ხოლო „ვერონაში“ თამაშისას ჩემი ამჟამინდელი თანაგუნდელები — კრისტიან ვიერი და ფილიპო ინძაგი მომწონდნენ“.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „მილანი“ უკვე გაემგზავრა ამერიკულ ტურნეზე. ალბერტო ჯილარდინო კლუბს არ ახლავს, იგი თანაგუნდელებს 25 ივლისს შეუერთდება პაოლო მალდინისთან ერთად.

ქვემოთ კი იმ 19 ფეხბურთელის ვინაობას გთავაზობთ, რომლებიც კარლო ანჩელოტიმ აშშ-ში იახლა — *მეკარეები: ფიორი, ელეფთეროპულოსი, ფავარეტო; მცველები: კაფუ, კოსტაკურტა, კალაძე, მარცორატი, შიმიჩი, ნესტა, სტამი; ნახევარმცველები: გატუზო, პირლო, ამბროზინი, ფოგელი, რუი კოშტა, სერჟინიო, ზეედორფი; თავდამსხმელები: ვიერი, არდემანი.*

**გიორგი ძაძაძე**

# მანდარიჩი მანდარინს არ ფცქვნის

## პორტსმუთი რგოლებს აძლიერებს

**პრემიერლიგის** „პორტსმუთმა“ ლისაბონის „ბენფიკადან“ ნორვეგიელი ფორვარდი აზარ კარადასი ერთი წლით ითხოვა, შემდგომში გამოსყიდვის უფლებით. 23 წლის მეგოლეს ეროვნულ ნაკრებში სამჯერ უთამაშია, „ბენფიკამდე“ კი ჯერ „ბრანში“ იყო, მერე — „რუსენბორგში“.

„ჩვენი გუნდის შეტევა კიდევ უფრო გავაძლიერეთ ახალი თავდამსხმელით — თქვა კლუბის პატრონმა მილან მანდარიჩმა — მწვრთნელ ალენ პერენს ძალიან სურდა კარადასის შეძენა და ტრანსფერით კმაყოფილია“.

„პორტსმუთმა“ ზაფხულის განმავლობაში უკვე მოასწრო ლორან რობერის, გრეგორი ვინიალის, ენდი ობრაიენისა და ჯონ ვიაფარას ყიდვა, ხოლო იაკუბუ აიეგბენი „მიდლსბროს“ 7 მილიონ 500 ათასი გირვანქის სანაცვლოდ დაუთმო. პერენს კარადასი სწორედ აიეგბენის შემცვლელად მიაჩნია.

გარდა კარადასისა, „პორტსმუთმა“ მეკარეც დაიმატა — ჰოლანდიელი სანდერ ვესტერფელდი „მალიორკადან“ პრემიერლიგაში დაბრუნდა, საიდანაც ოთხი წლის წინ წავიდა. ვესტერფელდი „ლივერპულში“ თამაშობდა, მაგრამ ირჟი დუდეკის მისვლის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. 2001 წელს „რეალ სოსიედადის“ მეკარე გახდა, იქ სამი სეზონი გაატარა, მერე კი „მალიორკაში“ აღმოჩნდა. „პორტსმუთმა“ შაკა ჰისლოპი გაუშვა და ორი ახალგაზრდა, გამოუცდელი მეკარე შერჩა. ალენ პერენი კოსტას ხალკიასს და ჯეიმი ეშდოუნს მთლად ვერ ენდობოდა, ამიტომაც სანდერ ვესტერფელდი დაიმატა.

„სეზონის დაწყებამდე ყველა რგოლში გავძლიერდებით“ — აღნიშნა მილან მანდარიჩმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




სანდერ ვესტერფელდი ინგლისში დაბრუნდა



ფრანჩესკო ტოტი იმედიანადაა

# რომა ემბარგოზე დატოვეს

## რეალისტი და ამბიციური ტოტი

*„რომას“ აპელაციამ არ გაჭრა. TAS-მა დედაქალაქელებს სატრანსფერო ემბარგო არ მოუხსნა და ფიფას გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. შესაბამისად, „გლადიატორები“ ერთი წლის მანძილზე ახალ ფეხბურთელებს ვერ დაიმატებენ და იძულებულნი გახდებიან, „ოსერს“ 5,3 მილიონი გირვანქა გადაუხადონ. ფილიპ მექსემმა კი, ფაქტობრივად, უკვე მოიხადა ექვსკვირიანი დისკვალიფიკაცია*

**უკვე საეჭვოა** იმ ოთხი ფეხბურთელის ბედიც, რომლებიც „რომამ“ ზაფხულის დასაწყისში დაიმატა. განსაკუთრებით რთულად შაბანი ნონდასა და სამუელ კუფურის საქმეა. დედაქალაქელებმა მათი ფიფაში დარეგისტრირება ვერ მოასწრეს. უფრო დიდია იმის შანსი, რომ „სტადიო ოლიმპიკოს“ ბინადრები როდრიგო ტადეისა და ჩეზარე ბოვოს შეინარჩუნებენ.

მედალს ორი მხარე აქვს და ფინანსური თვალსაზრისით, რომაელებს ეს ყველაფერი ეგებ წაადგეთ კიდეც. საქმე ის არის, რომ გუნდს ფეხბურთელების გაყიდვის უფლება აქვს, მაგრამ მხოლოდ ფულის სანაცვლოდ. ყველა სახის გაცვლა და სხვაგვარი შეთანხმებები იკრძალება. შესაბამისად, თუ ანტონიო კასანოს, ამატინო მანსინისა და კრისტიან კივუს მსურველებს, კერძოდ კი „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ მათი შეძენა მართლაც სურთ, სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ, რადგანაც „რომას“ ფულთან ერთად თავიანთ მოთამაშეებს ვერ შესთავაზებენ.

ვთქვათ ისიც, რომ ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. რამდენიმე წლის წინ ამგვარი სასჯელი მადრიდის „ატლეტიკომაც“ „დაიმსახურა“, მაგრამ აპელაციამ მაშინ გაჭრა.

იტალიის ფეხბურთელის ფედერაციამ კი გადაწყვიტა, „რომას“ ყველანაირად დაეხმაროს. ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო მალე დედაქალაქელთა ერთ-ერთ მფლობელ როზელა სენსისა და გუნდის ახალ სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს შეხვდება, სადაც მხარეები ყველაფერზე დეტალურად ისაუბრებენ.

ამასობაში, „გლადიატორთა“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს ამხნევებს — რომაელთა მე-10 ნომერი თავის მხრივ უკეთესი თამაშის პირობასაც იძლევა.

„მოდით, რეალისტები ვიყოთ. „იუვენტუსს“, „მილანსა“ და „ინტერს“ ამჟამად ჩვენზე მეტი შესაძლებლობა აქვთ, თუმც ჩვენ შეგვიძლია, მათსავით ძლიერები გავხდეთ, თუ გავერთიანდებით და სერიოზულად ვიმუშავებთ. სურვილითა და მისწრაფებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება“ — განაცხადა ტოტიმ.

**გიორგი ძაძაძე**

# რობინიოს 77 არ მისცეს ჰოდა, პელე ვიქნებიო



ბრაზილიელი რობინიო „რეალში" სავარაუდოდ, 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს

**„მორჩა,** ბოლოს და ბოლოს ბრაზილიას მოვცილდებით. ჩვენი ოჯახისთვის ორმხრივად კარგია, რობიმ რომ „რეალთან" გააფორმა კონტრაქტი — ბიჭი მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ითამაშებს და თანაც მადრიდში ვიცხოვრებთ, ყაჩაღებისა თუ გამტაცებლების შიში ნაკლებად გვექნება" — უთხრა გახარებულმა მამამ ჟილვან დე სოუზამ „პუნტო რადიოს".

მოგეხსენებათ, მისი ბიჭი რობინიო „სამეფო კლუბში" 24 მილიონ ევროდ გადავიდა და, თავისთავად ცხადია, აწ უკვე ყოფილი სანტოსელი ტრანსფერით აღფრთოვანებულია.

„მადრიდის „რეალი" უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და ბედნიერი ვარ, რომ ჩემთვის ეს ოცნება უკვე სინამდვილედ იქცა. დარწმუნებული ვარ, ტიტულებს მადრიდშიც მოვიგებ. ესპანეთი ძალიან მომწონს. ეს ქვეყანა ევროპულ ბრაზილიას ჰგავს" — აღნიშნა რობინიომ ესპანურ „მარკასთან" საუბარში.

ეტყობა, „რეალის" ახალმა მოთამაშემ ესპანეთი სამშობლოს მხოლოდ ბუნების მრავალფეროვნებით შეადარა, რადგანაც როდესაც ჟურნალისტები ბრაზილიაში მისი ოჯახის ყოფა-ცხოვრებაზე დაეკითხნენ, რობსონ დე სოუზამ უხალისოდ მიუგო: „იქ დედა სახლიდან პურის საყიდლად ვერ გამოდიოდა. საშინელებაა, როცა ყველა ფეხის ნაბიჯზე ბანდიტის თავდასხმას მოელი. უბრალოდ, ახლა ამასე საუბარიც არ მსურს".

რობინიოს „რეალში" 77-ნომრიანი მაისურის მორგება სურდა, თუმც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დებულებით, მაისურაზე 25-ზე აღმატებული რიცხვი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში ეწერება და ახალგაზრდა ბრაზილიელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, „სამეფო კლუბის" 10-იანს დაადგა თვალი.

„ძალიან მომწონს რიცხვი 77, ეს ნომერი ჩემთვის ყოველთვის იღბლიანი იყო და მოხარული ვიქნებოდი, რომ „რეალშიც" 77-ით მცმოდა. თუმც შემდეგ გავიგე, რომ თუ ნებისმიერ [illegible] კლუბში ბავშვთა გუნდიდან [illegible], ნომრად 25-ე მეტ ციფრს ვერ ავირჩევ. ახლა მინდა, 10 ნომრით ვითამაშო. ეს ჩემი კერპის, პელეს ნომერია" — აცხადებს რობინიო, ვისი სასურველი ათიანიც ჯერჯერობით ლუიშ ფიგუს ეკუთვნის. თუმც პორტუგალიელი დღე-დღეზე „ინტერში" გადავა და...

ფიგუსი რა მოგახსენოთ და რონალდოსა და ზიდანს ახალი თანაგუნდელის შემატება ფრიად გაუხარდათ. პეკინში სეზონთაშორისის ტურნეზე მყოფი გალაქტიკოსები რობინიოს საქებარ სიტყვებს არ იშურებენ.

„ოქრო ბიჭია. გარდა იმისა, რომ ბრწყინვალედ თამაშობს, პიროვნული ღირსებებითაც გამოირჩევა და ახალ გუნდთან ადაპტაციის არანაირი პრობლემები არ ექნება. იგი ჩემი ახლო მეგობარია და მოხარული ვარ, რომ ერთ გუნდში ვითამაშებთ" — თქვა რონალდომ.

„რობინიოს პირადად არ ვიცნობ, თუმც მისი თამაში მინახავს და დარწმუნებული ვარ, „რეალის" დონეს მხარს აუბამს. როგორც მეუბნებიან, იგი შესანიშნავი ფეხბურთელი და ჩინებული პიროვნებაა" — განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

**ლადო ხომერიკი**

# მიკი მაუსმა კაჭკაჭს ოფოფი უქო



ნიკოლა ანელკას „ნიუკასლის" მწვრთნელი გრემ სუნესი ეპატიჟება

*გრემ სუნესმა ფრანგი თავდამსხმელის, ნიკოლა ანელკას შესაძენად სტამბოლში, კერძოდ „ფენერბაჰჩეში" 5 მილიონ-გირვანქა ჩაწერილი ოფიციალური წინადადება გააგზავნა. თურმე ნუ იტყვით და „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელისთვის ანელკა „მანჩესტერ სიტის" ყოფილ თავკაცს, წარსულში ლეგენდარულ ფეხბურთელს, კევინ კიგანს უქია და მერე როგორ... მოგეხსენებათ, ფრანგი ფორვარდი კიგანის ხელქვეით სწორედ „სიტიში" თამაშობდა და „მიკი მაუსს" ამიტომაც მოეხსენება მისი ავი და კარგი ასე დაწვრილებით*

ერთი სიტყვით, გრემ სუნესმა ავტორიტეტული რჩევა მიიღო და დაუყოვნებლივ გაამზადა ოფიციალური წინადადება, რათა ხუშტურებიანი ანელკა იმ ფორმაში გამოაწყოს, ალან შირერს, პიტერ ბერდსლის, ენდი კოულსა და ლეს ფერდინანდს რომ სცმიათ.

ისე, საინტერესოა, როგორ გუნებაზე დადგებიან ანელკას ზნის მცოდნე ნიუკასლელი ფანები, რომელთაც გასულ სეზონში კრეიგ ბელამის შესრულებით ერთი ოფოფებიანი თავგადასავალი უკვე გადაიტანეს, მაგრამ მეორეცაა — თუ „კაჭკაჭები" ანელკას შეიძენენ, მისი მოთოკვა ფანების კი არა, გრემ სუნესის საქმე იქნება, სუნესი კი თვითონ გიჟია და სხვისი სიგიჟის როგორ უნდა შეეშინდეს?

სუნესი ამბობს: „კევინს ველაპარაკე მან მითხრა, რომ ანელკა ერთ-ერთი საუკეთესოა იმ თავდამსხმელებს შორის, რომელთანაც ოდესმე უმუშავია. გარდა ამისა, ანელკა მოედანზე უწინდელთან შედარებით უფრო დაჭკვიანებულია. ეტყობა მასზე დაოჯახებამ იმოქმედა კარგად, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობაში კვლავინდებურად მძიმეა. მას ხალხში გასვლა არ უყვარს და მექალთანეც არ არის".

მაგრამ სუნესის წინადადება სულაც არ ნიშნავს, რომ „ფენერბაჰჩე" ფრანგის გაყიდვაზე უკვე ყაბულსაა. თანაც, ცნობილია, რომ თურქეთის ჩემპიონი მასში ხუთს კი არა, ინგლისური გირვანქებით რომ ვთქვათ, ათ მილიონს ითხოვს, ეს კი ის თანხაა, რომელიც ძალიან საეჭვოა, „კაჭკაჭებს" ამ საქმისთვის გადადებული ჰქონდეთ.

თუმცა, როგორც ჩანს ინგლისელები დარწმუნებულნი ბრძანდებიან, რომ 26 წლის ფრანგ ფორვარდს მათი ქვეყნის პრემიერლიგაში თამაში ძალიან მოენატრა და ვაჭრობაში ამ ფაქტორის გათამაშებას აპირებენ. აბა, სხვა რით შეიძლება იმის ახსნა, რომ მათი „ნიუკასლ იუნაიტედის" პრეზიდენტი, ფრედი შეპარდი „ფენერთან" საქმის მოკვარახჭინებას უმოკლეს დროში აპირებს.

და კიდევ ერთი მოთამაშე, რომლის შეძენაც „ჯორდებს" უნდათ — მოგეხსენებათ, ჯორდებს ინგლისის ამ რეგიონში მცხოვრებ ხალხს ეძახიან — „ფულემის" ლუიშ ბოა მორტე გახლავთ. აქ, უნდა დავძინოთ, რომ ბოა მორტეს შესაძენად „ფულემს" პირველმა „მიდლსბროს" ბოსმა სტივ მაკლარენმა მიმართა და საფულედან 6 მილიონ გირვანქასაც ამოაყოფინა თავი, მაგრამ ინგლისური პრესა დარწმუნებულია, რომ პორტუგალიელის ყიდვას უმალ „ნიუკასლ იუნაიტედი" შეძლებს, ვიდრე სხვა.

რად უნდა გრემ სუნესს ბოა მორტე? იმად, რომ „კაჭკაჭების" მწვრთნელი მას ლორან რობერის შემცვლელად ხედავს, რობერი კი ნიუკასლიდან „პორტსმუთში" გაქირავდა. ერთი სიტყვით, ალან შირერს და სავარაუდოდ, ნიკოლა ანელკას ფლანგიდან ჩამწოდებელი კაცი სჭირდებათ, ასეთად კი ბოა მორტე ესახებათ.

კიდევ, ნიუკასლური სიახლე ის გახლავთ, რომ დაშავდა კირონ დაიერი, რომელიც სავარაუდოდ, ათი დღით გამოაკლდება საქმეს.

**ბაჩუნა ძიძია**

# პირესს არ უგრძელებენ

## ვენგერმა ბაპტისტა შუაზე გაყო

*„არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერს სჯერა, რომ რობერ პირესი პატრიკ ვიეირას გზას არ დაადგება, ანუ გუნდში დარჩება*



რობერ პირესი ხელფასის მომატებას ითხოვს

**მოგეხსენებათ,** პირესს კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და გახანგრძლივება სურს, მაგრამ კლუბი მისი აგენტის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ნახევარმცველს ჯამაგირი ეცოტავება, „არსენალი" კი ხელფასის მომატებას არ აპირებს. რობერ პირესით „იუვენტუსი", მადრიდის „რეალი" და „გალათასარაი" იყვნენ დაინტერესებული. ფრანგს რამდენიმე ვარიანტი გამოუჩნდა და ჯამაგირის გაზრდასაც ამიტომ ითხოვს.

„გავიგე, რომ პირობების გაუმჯობესება სდომებია, მაგრამ ამას ვიეირას წასვლასთან კავშირი არა აქვს. პირესი ვიეირას ვერ შეცვლის, თუმც იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოთამაშეა" — თქვა ვენგერმა.

ამასთანავე, „არსენალის" თავკაცი კვლავ არ ეშვება ჟულიო ბაპტისტას. „სევილიამ" ლონდონური კლუბი უარით ორჯერ გაისტუმრა. მიუხედავად ამისა, „მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი სევილიაში მესამედ ჩავიდა. ვენგერის აზრით, ბაპტისტას შეძენის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ესპანური გუნდის თავკაცმა ხუანდე რამოსმა კი განაცხადა: „ჟულიო ბაპტისტა გუნდის უძვირფასესი ფეხბურთელია. ასეთი მოთამაშეს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებს. მას უნდა დარჩენა და ჩვენც გვსურს, რომ კიდევ ერთი წელი აქ ითამაშოს. აგვისტოს ბოლომდე მაინც თუ წავიდა, ცუდი იქნება, რადგან გუნდის გადაწყობა მოგიწევს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# დაცვას მიხედე, სემ, დაცვას...
## ბოლტონს ბორგეტი გაურთულდა

**ისედაც ლეგიონერებით გაძეძგილი „ბოლტონი“ შეჩერებას არ აპირებს და კიდევ რამდენიმე უცხოელის დამატებას გეგმავს. მოგეხსენებათ, გუნდის თავკაცი სემ ალარდაისი ახალ ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს და აქცენტს ძირითადად ვეტერანებზე აკეთებს**



სემ ალარდაისის „ბოლტონს“ ვეტერანებით აძლიერებს

**დავიწყოთ იმით**, რომ „რიბოკის“ ბინადრებს სურთ, „ვილტას“, „ვალენსიასა“ და „ლევანტეს“ ყოფილი მცველი ხუანფრანი ითხოვონ. 29 წლის ესპანელი ამჟამად „ბეშიქთაშში“ ირიცხება და სავარაუდოდ, ნისლიან ალბიონზე გადასვლას სიამოვნებით დათანხმდება, თუმც ჯერ კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ.

ალარდაისი და კომპანია ამჟამად ყველაზე მეტად უკანა ხაზის გაძლიერებას ცდილობს, რადგანაც ამ ზაფხულს გუნდი სამმა გამოცდილმა მცველმა დატოვა — ფერნანდო იერომ, ვენსან კანდელამ და ფლორენ ლავილმა.

ხუანფრანის გარდა, „ბოლტონი“ კიდევ სამ მცველს — აბდულაი ფეიეს, ფერნანდუ კოუტუსა და ბერნარ მენდის უტრიალებს. პირველი მათგანი უკვე კლუბთან ერთად ვარჯიშობს, ხოლო მესამეს „რიბოკზე“ აქამდეც უბურთავია.

როგორც იცით, „ლანსის“ მცველი აბდულაი ფეიე „ბოლტონთან“ ერთად აზიურ ტურნეზე იმყოფება. მართალია, სენეგალელს თამაშის უფლება ჯერ არა აქვს, მაგრამ ვარჯიშობს და ადაპტაციის პეროდს გადის.

„ფეიეს ახლოდან ვაკვირდებით და ჯერჯერობით კმაყოფილები ვართ. იმედია, მას ადაპტაცია არ გაუჭირდება და აქაურ სტილს მალე აითვისებს. საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ ამ ტურნეს შემდეგ მივიღებთ“ — თქვა ალარდაისმა.

რაც შეეხება მენდის, მან „რიბოკზე“ 2002-03 წლების სეზონი არენდის წესით გაატარა და საკმაოდ კარგადაც. შემდეგ საფრანგეთში დაბრუნდა და პსჟ-სთან ერთ-ერთ ლიდერად იქცა, მაგრამ ბოლო პერიოდში ტრავმების გამო ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ამიტომ მენდის წასვლაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ პარიზელთა ახალი თავკაცი ლორან ფურნიე მის შენარჩუნებას აპირებს. თანაც მცველმა კლუბთან ახალი კონტრაქტი ნოემბერში გააფორმა. ასე რომ, „ბოლტონს“ მისი შეძენა ან თხოვება ცოტათი გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

„რიბოკზე“ ყველაზე ნაკლებად კი ფერნანდუ კოუტუს გადასვლაა სავარაუდო. 35 წლის პორტუგალიელს „მიდლსბროც“ უტრიალებს, თან მას „ლაციოს“ დატოვება ბოლომდე არ გადაუწყვეტია.

„რამდენიმე ინგლისური კლუბი მართლაც დაინტერესებულია ჩემით, მაგრამ ყველაფერი „ლაციოზეა“ დამოკიდებული. წინასწარ საუბარი არ მიყვარს, ამიტომ უფრო კონკრეტულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ერთადერთი შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობით უკმაყოფილო არ ვარ და თუ უკეთეს წინადადებას არ მივიღებ, იტალიაში დავრჩები“ — განაცხადა კოუტუმ.

ახლა აქვე ხარედ ბორგეტის ტრანსფერზეც ვთქვათ, რომლის განხორციელებასაც თითქმის წინ აღარაფერი ედგა და 31 წლის მექსიკელს დღე-დღეზე „ბოლტონის“ მაისურა უნდა მოერგო. თუმც ჯერ ლაფერი ასეც არ ყოფილა. მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე საქმე გართულდა და რა მოხდება, არავინ იცის.

სემ ალარდაისი: „ბორგეტი ის ფეხბურთელია, რომლის შეძენაც ძალიან მინდა, მაგრამ... სამხრეთ ამერიკაში არსებული რეჟიმის გამო ბევრ სირთულეს წავაწყდით. გამოჩნდა მრავალი პირობება, რომელიც ფეხბურთელის აგენტებს იბრალებს. ასევე შეგვექმნა ბიუროკრატიული პრობლემები. ჩვენ რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვი“.

და ერთიც: გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ჯეი-ჯეი ოკოჩა არსად წასვლას არ აპირებს. უალრესად ტექნიკური ნიგერიელისთვის გასული სეზონი საუკეთესო ნამდვილად არ ყოფილა და მყისვე მის შესაძლო გასხვისებაზე ალაპარაკდნენ. 31 წლის ფეხბურთელმა ყარანიდან მიიღო ზიდველი წინადადებაც მიიღო, მაგრამ „ბოლტონის“ კაპიტანი „რიბოკზე“ რჩება.

„აქ უკვე სამი წელია, ვთამაშობ. მართალია, გასული სეზონი ჩემთვის ისეთი ეფექტური არ იყო, მაგრამ ისევ სიამოვნებას ვიღებ და დამუხტული ვარ უფრო მეტზე. ბოლომდე მოვიწევს თამაში და ეს საოცარი გრძნობაა. ყველანი მოტივირებულნი ვართ. მინდა, ამ ისტორიული მოვლენის მონაწილე ვიყო“ — განმარტა ოკოჩამ.

**გიორგი კაკაბაძე**



AFP სიდნეიდან

გუს ჰიდინკი ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელიცაა

# აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ
## ჰიდინკი გაოგზდა

**გუს ჰიდინკი** ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. მან ფრენკ ფარინა შეცვალა, რომელიც ივნისში, კონფედერაციათა თასის გათამაშების შემდეგ წავიდა.

„ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ — თქვა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ფრენკ ლოუიმ — ჰიდინკი გამოცდილი კაცია და მისი მიღწევები მისივე პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ახლა ვიმედოვნებთ, რომ ავსტრალია მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება“.

ჰოლანდიელი მწვრთნელი ავსტრალიის ნაკრებთანაც იმუშავებს და „პსვ ეინდჰოვენშიც“ ითავკაცებს. აგვისტოში „ოზები“ ჰოლანდიაში შეკრებას გაივლიან, რის გამოც კოლუმბიასთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩი აღარ შედგება. გუს ჰიდინკს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ გაიყვანს, ეგებ ავსტრალიელებთან თანამშრომლობა გააგრძელოს.

გასულ სეზონში ჰიდინკის დამოძღვრილმა პსვ-მ ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, თასსაც დაეუფლა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მილანთან“ დამარცხდა.

რაც შეეხება სანაკრებო მიღწევებს, გუს ჰიდინკის ჰოლანდიამ ევრო 96-ის მეოთხედფინალში გააღწია და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა.

2001 წლის იანვარში სამხრეთ კორეის ნაკრები ჩაიბარა და 2002-ში, კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

**გაჟა ხუციშვილი**

# რიკელმეე, ფეხბურთიდან წავალო

**არგენტინის** ნაკრებისა და ესპანური „ვილიარეალის“ ლიდერმა ხუან რომან რიკელმემ გუშინ გვარიანად შეაშფოთა თავისი მრავალრიცხოვანი ინჩასობა. ერთ-ერთი ესპანური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში, 28 წლის მობურთალმა განაცხადა, რომ მალე დიდ ფეხბურთთან გამომშვიდობებას გეგმავს.

თუ 2006 წელს არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს, შესაძლოა, ფეხბურთის მიტოვებაზეც ვიფიქრო. მართალია, ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ, მაგრამ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, მომავალში რა მოხდება — აი, ასეთი გულის გამხეთქი სიტყვები უთხრა არგენტინელმა „ტოდო ნოტისიას“.

ხუან რომან რიკელმეს ახლა დაძაბუნებისა და ფეხბურთით მოყირჭებისა არაფერი ეტყობა — არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანს მასზე მზე და მთვარე ამოსდის და ფეხბურთელიც ახლახანს ჩამთავრებული კონფედერაციათა თასზე გამოჩენილი სიჩაუქისთვის „ვერცხლის ბურთით“ დააჯილდოვეს.

**ლადო ხომერიკი**







„იუვენტუსი“ „ლაციოს“ მანუელე ბლაზის სთავაზობს, სანაცვლოდ კი მასიმო ოდოს ითხოვს

# იუვეს მემარჯვენე აკლია
## მუტუმ სკუდეტო უკვე მოიგო

„ИУВЕНТУСИ“ ისევ მასიმო ოდოს უტრიალებს. „ბებერ ქალბატონს“ იტალიის ნაკრებისა და „ლაციოს“ მარჯვენა გარემარბი უკვე წელიწადზე მეტია, აინტერესებს, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა. როგორც იცით, ოდოს „მილანიც“ აკვირდება და თითქოს საქმეც უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ... 3,6 მილიონი გირვანქა ეძვირა.

გავრცელებული ინფორმაციით, „მილანი“ ახლა კაფუს შემცვლელად „სან პაულუს“ მცველ სისინიოს განიხილავს, რომელიც ეროვნულ ნაკრებშიც კაფუს სათადარიგოა. „იუვენტუსს“ კი მარჯვენა ფლანგზე ჯონათან ძებინას გარდა მხოლოდ ვეტერანი ალესანდრო ბირინდელი ჰყავს, რომელსაც ფრანგის ჯეროვნად შეცვლა არ შეუძლია.

როგორც ამბობენ, ორბაშათს ტურინელთა გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი „ლაციოს“ პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს შეხვდა. მხარეებმა ოდოს ტრანსფერზე ილაპარაკეს და დიდი შანსია, მალე საბოლოო შეთანხმებასაც მიაღწიონ. ისიც ითქვა, ეგებ კლუბებმა ოდო და ბლაზი ერთი წლით გაცვალონ, ხოლო მომავალ ზაფხულს სურვილისამებრ მოილაპარაკონო.

ამასობაში, ტურინელთა ხორვატ ლეგიონერ იგორ ტუდორს „უდინეზეში“ უნდა გადასვლა. რა გამოვა ამ საქმიდან, არავინ იცის. „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა აგრძელებს ახალი გუნდის ძიებას ფაბრიციო მიკოლისთვისაც.

„ბებერი ქალბატონის“ რუმინელი ახალწვეული ადრიან მუტუ კი ძალიან გახარებულია იმით, რომ გუნდში რჩება და სერიოზული კონკურენციისთვისაც მზად არის.

„შემიძლია ვთქვა, რომ სკუდეტო უკვე მოვიგე, რადგანაც „იუვენტუსში“ ვრჩები, რაც ძალიან მახარებს. ახლა ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის უნდა ვიბრძოლო. აქ თითეული მოთამაშე ნაღდი ჩემპიონია, მაგრამ კონკურენცია არ მაშინებს. ვეცდები, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო. თანაც ნელ-ნელა ვიბრუნებ იმ ფიზიკურ კონდიციებს, რომელიც „პარმაში“ მქონდა“ — განაცხადა ფორვარდმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მაშ, რამდენი? ხუთი





**გუშინ** უეფამ გამოაცხადა იმ ხუთი კანდიდატის სია რომელთაც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის შანსი მიეცათ. ეს, ასე ვთქვათ, „შორთ-ლისტია“, თორემ იმთავითვე მასპინძლობის სურვილი მეტმა ქვეყანამ გამოთქვა, მათ რიცხვში აზერბაიჯანმაც.

ხსენებული ხუთი განაცხადიდან, ორი ერთობლივია: ესენია, ხორვატია-უნგრეთისა და უკრაინა-პოლონეთის, დანარჩენი სამი კი იტალია, საბერძნეთი და თურქეთი გახლავან. შორთ-ლისტში აზერბაიჯანის გარდა, ვერ მოხვდნენ რუსეთი და რუმინეთი.

ახლა, 7 ნოემბერს, უეფას აღმასკომი კანდიდატების რაოდენობას სამამდე დაიყვანს, საბოლოო სიტყვა კი 2006 წლის დეკემბერში ითქმება.

**პაპუნა კედია**

# ინტერს მადა გაეხსნა



ადრიანო შეგუღლებიდან გუშინ დაბრუნდა

**TIM CUP-ის** მოგების შემდეგ, მილანის „ინტერის“ ბანაკში განწყობა ერთიორად ამაღლდა. „ნეროამურის“ ფეხბურთელები ახლა უფრო მოტივირებულნი და შემართულნი არიან. მათზე ბრაზილიელმა ადრიანომაც იმოქმედა, რომელმაც საკმაოდ ამბიციური განცხადებები გააკეთა.

ადრიანოს კონფედერაციათა თასზე თამაშის შემდეგ, სხვებზე მეტხანს დასვენების საშუალება მისცეს, თუმც ახლა იგი გუნდს დაუბრუნდა და წინასასეზონო მზადებასაც აქტიურად შეუდგა.

„ძალიან მიხარია, რომ დავბრუნდი, ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ. „ინტერთან“ ერთად ტიტულების მოგება მინდა და იმედია, ასეც იქნება. ცხადია, სხვა კლუბში გადასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია“ — აღნიშნა ადრიანომ.

შემდეგ ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ გააკეთა კომენტარი კრისტიან ვიერის „მილანში“ გადასვლის თაობაზე: „რა თქმა უნდა, იგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო და გულდაწყვეტილიც ვარ. თუმცა, „ინტერში“ სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებიც არიან და ჩვენ ვიერის გარეშეც გავაგრძელებთ წარმატებულად თამაშს. გვინდა, კლუბის უფროსობა და ქომაგები გავახაროთ“.

„ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, პირადად მე ადაპტაცია არ მიჭირს და თანაგუნდელებსაც უფრო ვუახლოვდები. ცხადია, **TIM CUP**-ის მოგებამ გამახარა, ჩვენ ხომ ორ ერთობ ძლიერ კლუბს ვაჯობეთ“ — ეს კი „ინტერის“ არგენტინელი ახალწვეულის, სანტიაგო სოლარის სიტყვებია.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ევერტონელს დაარტყეს
## ბარტონს ბავშვი შემოელახა



ჯოი ბარტონი

**„მანჩესტერ სიტის“** ნახევარმცველმა ჯოი ბარტონმა „ევერტონის“ ფანს სახეში გაულაწუნა. პრემიერლიგის გუნდები („ევერტონი,“ „ბოლტონი“ და „მანჩესტერ სიტი“) ბანგკოკურ ტურნეში არიან. ჩხუბიც იქ, სასტუმროში მომხდარა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბარტონი ბარში მჯდარა, როცა მასთან „ევერტონის“ მავანი ქომაგი მისულა და მწარე სიტყვა უთქვამს. სიტელმა შეურაცხყოფა არ ჩაყლაპა, წამოხტა და 15 წლის ბიჭს შემოჰკრა. „მანჩესტერ სიტის“ კაპიტანი რიჩარდ დანიც იქ ყოფილა, რომელსაც თანაგუნდელი ოთახში აუთრევია.

„ჩვენ ამბავს ვიძიებთ — თქვა სიტელთა პრესმდივანმა პოლ ტირელმა — ვიცით, რიჩარდ დანიც გარეულია ამ საქმეში, მაგრამ მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა გვითხრა, კაპიტანი კარგად მოიქცაო. კლუბის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს მომხდარი შესახებ უკვე ვაცნობეთ. ისინი გადაწყვეტენ, როგორ დააჯარიმონ მოჩხუბარი“.

ჯოი ბარტონი ერთი წლის განმავლობაში უკვე მეორედ „ჩავარდა“. გასულ დეკემბერს, შობის დღესასწაულზე თანაგუნდელ ჯეიმი ტანდის სიფათი სიგარით დაუწვა და ცუდი ხუმრობისთვის ექვსი კვირის ჯამაგირი დაუქვითეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შენც რიკარდო?
## ფედორიჩევის პორტუგალიური დინამო

**რიკარდო კვარესმა** უახლოეს მომავალში ეგებ მოსკოვის „დინამოში“ გადავიდეს. როგორც პორტუგალიურ „ო ჟოგო“ გვამცნობს, რუსებს კვარესმას ახლანდელ გუნდ „პორტუსთვის“ 8 მილიონი ევრო უკვე შეუთავაზებიათ.

„ყველაფერი“ „პორტუს“ მწვრთნელ კო ადრიანსეზეა დამოკიდებული. მან უნდა გადაწყვიტოს, კვარესმა ძირითადი შემადგენლობისთვის უნდა თუ არა“ — წერენ პორტუგალიელი ჟურნალისტები.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი ბარსელონელი რიკარდო კვარესმა „ესტადიუ დრაგაუზე“ სასტარტო თერთმეტეულს ჩამოაცილეს და როგორც ფეხბურთელთან დაახლოებული პირები იუწყებიან, მან ამიტომაც გადაწყვიტა სხვა კლუბში გადასვლა.

მოგეხსენებათ, „დინამოს“ პატრონ ალექსეი ფედორიჩევს თავის გუნდში უკვე ჰყავს პორტუგალიელები — დერლეი სილვა, მანიშე რიბეირუ, დანი, ფრანსისკო კოშტინია და ჟორჟე რიბეირუ. ესეც რომ არა, ფედორიჩევს „დინამოში“ გერმანელი ვარსკვლავის, მიხაელ ბალაკის მიყვანაც სურდა, 40 მილიონი შესთავაზა „ბაიერნს“, ოღონდ გერმანელებისგან კატეგორიული უარი მიიღო.



რიკარდო კვარესმა

**ლადო ხომერიკი**

## ფინეთი
### ვეიკაუსლიგა
### გადადებული მატჩები

ინტერი 1:4 მიუპა

როვანიემი 1:3 ალიანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 15 | 10 | 4 | 1 | 28:8 | 34 |
| ჰიკ | 14 | 7 | 7 | 0 | 20:10 | 28 |
| ჰაკა | 14 | 6 | 7 | 1 | 21:8 | 25 |
| ტამპერე | 12 | 6 | 4 | 2 | 17:10 | 22 |
| ინტერი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:7 | 20 |
| ალიანსი | 14 | 4 | 8 | 2 | 16:19 | 20 |
| კტპ | 14 | 5 | 4 | 5 | 19:20 | 19 |
| მარიეჰამნი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| ტურკუ | 13 | 4 | 3 | 6 | 12:15 | 15 |
| ლაჰტი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:27 | 15 |
| როვანიემი | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| კუოპიო | 14 | 4 | 2 | 8 | 15:25 | 14 |
| ტპ 47 | 14 | 2 | 2 | 10 | 9:18 | 8 |
| იარო | 14 | 1 | 5 | 8 | 5:19 | 8 |

## შვედეთი
### ალსვენსკა
### XV ტური

ჰეკენი 1:0 მალმიო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 14 | 9 | 3 | 2 | 31:15 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:19 | 26 |
| მალმიო | 15 | 8 | 2 | 5 | 17:14 | 26 |
| ჰეკენი | 15 | 8 | 1 | 6 | 23:16 | 25 |
| გიოტებორგი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:10 | 23 |
| კალმარი | 14 | 6 | 5 | 3 | 13:9 | 23 |
| ელფსბორგი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:19 | 22 |
| ჰამარბი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:15 | 21 |
| ჰალმსტადი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:19 | 18 |
| გეფლე | 14 | 5 | 1 | 8 | 11:18 | 16 |
| იორგრიტე | 14 | 4 | 2 | 8 | 16:22 | 14 |
| ლანდსკრონა | 14 | 3 | 4 | 7 | 14:29 | 13 |
| სუნდსვალი | 14 | 3 | 2 | 9 | 14:26 | 11 |
| ასირისკა | 14 | 3 | 1 | 10 | 10:17 | 10 |

ავსტრია
ბუნდესლიგა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 6 | რაპიდი-პაშინგი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 21:30 | 7 | მატერსბურგი-აუსტრია | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 21:30 | 8 | ადმირა-გრაცერი | .3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 21:30 | 9 | შტურმი-ტიროლი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 10 | რიდი-ზალცბურგი | 3.75 | 3.40 | 1.85 | 1.78 | 1.23 | 1.19 |

შვეიცარია
სუპერლიგა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 18 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 19 | აარაუ-სტ.გალენი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 20 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |

შვეიცარია
ჩელენჯლიგა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 21 | მეირინი-ბადენი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:30 | 23 | შო დე ფონი-კიასო | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 19:30 | 24 | ვილი-კრინსი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 21:30 | 25 | სიონი-ლოზანა | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:30 | 26 | ლუგანო-ლოკარნო | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 19:30 | 27 | ვინტერთური-ვადუცი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 21:30 | 28 | ლუცერნი-ვოლენი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 21:30 | 29 | ბელინცონა-იუვენტუსი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |

რუსეთი
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 31 | მოსკოვი-ლოკომოტივი | 3.60 | 3.00 | 2.00 | 1.63 | 1.28 | 1.20 |
| 15:00 | 32 | შინიკი-როსტოვი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 15:00 | 33 | ამკარი-სატურნი | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| 15:00 | 34 | რუბინი-სპარტაკი | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| 15:00 | 35 | კრილია-ტერეკი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 15:00 | 36 | ზენიტი-ალანია | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 15:00 | 37 | ცსკა-ტომსკი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 15:00 | 38 | ტორპედო-დინამო | 2.80 | 2.90 | 2.50 | 1:42 | 1.32 | 1.34 |

უკრაინა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 235 | ვოლინი-არსენალი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 18:00 | 236 | კრივბასი-ტავრია | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| 19:00 | 237 | ჩერნომორეცი-ზაკარპატია | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 19:00 | 238 | დნიპრო-მეტალურგი(ზ) | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 19:00 | 239 | მეტალურგი(დ)-ილიჩევეცი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 20:00 | 240 | ხარკოვი-შახტარი | 8.50 | 4.90 | 1.25 | 3.10 | 1.08 | 1.00 |
| 20:00 | 241 | ვორსკლა-მეტალისტი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |

პოლონეთი
24 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 39 | არკა-ლეგია | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |

სლოვაკეთი
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 40 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 41 | ნიტრა-პეტრჟალკა | 2.55 | 3.00 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 22:00 | 42 | ტრნავა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 44 | პუხოვი-ჟილინა | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |

ხორვატია
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 46 | ციბალია-დინამო | 5.30 | 3.70 | 1.50 | 2.17 | 1.16 | 1.06 |
| 20:00 | 48 | მედიმურიე-ინტერი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 22:00 | 49 | რიეკა-პულა | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |

სლოვენია
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 52 | კოპერი-პრიმორიე | 2.25 | 3.10 | 2.85 | 1.30 | 1.25 | 1.48 |
| 19:30 | 53 | დრავა-რუდარი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 54 | გორიცა-ბელა კრაინა | 1.30 | 4.00 | 7.80 | 1.00 | 1.11 | 2.64 |
| 22:00 | 55 | პუბლიკუმი-მარიბორი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |

დანია
სუპერლიგა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 62 | ბრიონდბიუ-სილკებორგი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| | | 24 ივლისი | | | | | | |
| 17:00 | 63 | ოდენსე-ოლბორგი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 17:00 | 64 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 17:00 | 65 | სიონდერიულანდი-ორჰუსი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 17:00 | 66 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 19:30 | 67 | კოპენჰაგენი-ჰორსენსი | 1.25 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.17 |

ნორვეგია. ტიპელიგა
23 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 68 | მოლდე-ბრანი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 69 | ვოლერენგა-ჰამარი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 70 | ფრედრიკსტადი-ლინი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 71 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 72 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 22:15 | 73 | ალესუნდი-რუსენბორგი | 5.00 | 3.90 | 1.55 | 2.19 | 1.18 | 1.10 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 74 | ლილესტრიომი-სტარტი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |

**შვედეთი**

**ალსვენსკა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| [illegible] | 80 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 81 | ორგრიტე-კალმარი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 21:00 | 82 | გეფლე-ჰამარბი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 21:00 | 83 | ელფსბორგი-ასირისკა | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |

**შვედეთი. სუპერეტა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 85 | ვესბი-ფალკენბერგი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 86 | ნორჩიოპინგი-ოისტერსი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 18:00 | 87 | [illegible]-ტრელებორგი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |

**ფინეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 91 | იარო-[illegible] | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| [illegible] | 92 | მარიეჰამნი-[illegible] | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 20:00 | 93 | ტპ 47-ტპს | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 20:00 | 95 | ჰაკა-[illegible] | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

**ისლანდია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 98 | რეიკიავიკი-კეფლავიკი | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 99 | [illegible] | 4.70 | 3.50 | 1.55 | 2.00 | 1.16 | 1.07 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 100 | თროტური-ფრამი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |

**ირლანდია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 107 | ლონგფორდი-[illegible] | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |

**იაპონია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 110 | ჰიროსიმა-ვერდი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 13:30 | 111 | ომია-კაშიმა | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 13:30 | 112 | ტოკიო-კობე | 1.65 | 3.40 | 4.20 | 1.11 | 1.18 | 1.87 |
| 13:30 | 113 | ოსაკარა-კ.კასივა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 114 | იოკოჰამა-კაშივა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 14:00 | 115 | გამბა-[illegible] | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 14:00 | 116 | შიმიცუ-ურავა | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 117 | ნაგოია-ივატა | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 118 | ოიტა-ნიიგატა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

**აშშ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 123 | ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 124 | კოლამბუსი-კანზასი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 125 | კოლორადო-ჩიკაგო | 2.75 | 3.00 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 23:45 | 126 | სოლტ ლეიკი-დალასი | 3.50 | 3.00 | 1.95 | 1.61 | 1.25 | 1.18 |
| 23:45 | 127 | სან ხოსე-ნიუ იორკი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

**ევროპის ჩემპიონატი (19). ჩრდ ირლანდია**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 251 | გერმანია-ჩრდ.ირლანდია | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 18:00 | 252 | საბერძნეთი-სერბეთი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 18:00 | 253 | სომხეთი-საფრანგეთი | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| 18:00 | 254 | ინგლისი-ნორვეგია | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |

**ჩილე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 243 | უაჩიპატო-პალესტინო | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 23:45 | 244 | კობრელოა-მელიპილა | 1.40 | 4.00 | 5.90 | 1.03 | 1.13 | 2.38 |
| 23:45 | 245 | კოლო კოლო-სერენა | 1.45 | 3.80 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.29 |
| 23:45 | 246 | უნ.კატოლიკა-კოკიმბო | 1.35 | 4.00 | 6.60 | 1.00 | 1.12 | 2.49 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 23:30 | 247 | რეინჯერსი-პუერტო მონტი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 23:30 | 248 | უ.კონსეპსიონი-ევერტონი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 23:45 | 249 | ტემუკო-აუდაქსი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:45 | 250 | სან ფელიპე-უნ.ჩილე | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 181 | რეინჯერსი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 17:00 | 182 | დერბი-ბირმინგემი | 3.70 | 3.00 | 1.95 | 1.65 | 1.27 | 1.18 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 191 | არმინია-აიაქსი | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 21:00 | 193 | ლილი-ანდერლეხტი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **საერთაშორისო ტურნირი კორეა** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 12:00 | 255 | ლიონი-ტოტენჰემი | 2.25 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.50 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 17:30 | 205 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 20:15 | 206 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **მექსიკა სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 256 | უნამი-ამერიკა | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 211 | მარსელი-იანგ ბოიზი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 21:00 | 213 | სიგმა-დორტმუნდი | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 23:45 | 214 | ვალენსია-გენტი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 19:00 | 215 | სლავენი-დეპორტივო | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 21:00 | 216 | ლიბერეცი-როდა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 21:00 | 217 | ლანსი-ვარტექსი | 1.30 | 4.30 | 7.80 | 1.00 | 1.11 | 2.77 |
| 20:00 | 219 | ტამპერე-ლაციო | 3.10 | 3.20 | 1.95 | 1.57 | 1.19 | 1.21 |
| 20:00 | 220 | ჰამბურგი-ლეირია | 1.30 | 4.70 | 7.50 | 1.01 | 1.10 | 2.88 |
| 18:00 | 221 | ნიუკასლი-დუბნიცა | 1.15 | 5.90 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.71 |
| 22:00 | 222 | ვოლფსბურგი-გიოტებორგი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 212 | სტ.ეტიენი-კლუჟი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ჭიდაობა



იაგო ხაჩიძე და გიორგი ედიშერაშვილი



ზაზა [illegible] ფოტოები

# ქართველების მეორე ადგილი და რუს ვეტერანთა ჭაბუკობა

**ალბანეთის** დედაქალაქ ტირანაში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველი ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ და იქიდან მედლებით დახუნძლულებ., დაგვიბრუნდნენ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქრო იაგო ხაჩიძემ მოიპოვა, ვერცხლი კი არჩილ თურმანიძეს ერგო.

არც თავისუფალი სტილით ჭიდაობაში დავრჩენილვართ უჩემპიონოდ — პირველობა გიორგი ედიშერაშვილს ერგო. ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს მარადი ზოიძემ და ბექა ჭელიძემ, 4 ბრინჯაოს მედალი კი ვასილ მამულაშვილმა, გიორგი გოგოლაძემ, მურთაზ კასაძემ და გიორგი თაქთაქიშვილმა ჩამოიტანეს.

ჩვენებურთ თამაზ ბენდიაშვილი წვრთნიდა და მისი თქმით, რომ არა ზოგიერთ გუნდში გადაზრდილი მოჭიდავეების ყოფნა, უფრო უხვი მოსავლის აღებაც შეგვეძლო.

„ზოგიერთში" პირველ რიგში რუსეთის ნაკრები იგულისხმება, რომელთა რიგებშიც თითქმის ყველა სპორტსმენი იმაზე უფროსი გახლდათ, ვიდრე თავს ასაღებდა. ტურნირის მოსეირე სპეციალისტები ხუმრობდნენ კიდეც, რუსებმა იმხელა ხალხი გამოიყვანეს ჭაბუკებს შორის საჭიდაოდ, რომ გაისად შეიძლება ვეტერანთა შორის გამართულ პირველობაზე აჭიდაონო.

საქართველომ კი საბოლოო ჯამში გუნდური მეორე ადგილი დაიკავა.

**ლადო ფულუკიძე**

სამბო

# პრეზიდენტმა პრეზიდენტობის კანდიდატი წარადგინა

## სამბისტებს ბადრი ბიწაძე უხელმძღვანელებს

**გუშინ** საქართველოს სამბოს ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობა მოიწვია, რომლის მთავარი ამოცანაც ახალი პრეზიდენტის არჩევა გახლდათ.

ოლეგ იაძემ, რომელიც შესაფერისი კანდიდატის შერჩევამდე ფაქტობრივად დროებითი პრეზიდენტი გახლდათ, უფლებამოსილება მოიხსნა და პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი, ბადრი ბიწაძე წარადგინა.

ყრილობას 114 მოწვეული დელეგატიდან 81 ესწრებოდა და მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბადრი ბიწაძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

რაგბი

კვირას, 24 ივლისს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ცამეტკაცა ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი დებიუტი აქვს. კიდევ ერთი იმიტომ, რომ „13 ქარველს" ისტორიული სადებიუტო მატჩი უკვე ჩატარებული აქვს, თუმც ჰოლანდიელებთან გასვლაზე, ახლა კი საქართველოში, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე პირველად მოუწევთ თამაში.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მატჩს სხვა დატვირთვაც აქვს და ეს ამბავი ჩვენს ინტერესს აორმაგებს. სერბეთთან გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი ეროვნული გუნდი ევროპის ექვსი ერის თასზე ამოყოფს თავს, ამაზე პრესტიჟული კი რაღა უნდა იყოს.

შეგახსენებთ, პირველ საკვალიფიკაციო მატჩში ქართველებმა ჰოლანდიელებს სძლიეს, შემდეგ ჰოლანდია სერბეთს ესტუმრა და დიდი ანგარიშით დაამარცხა. ახლა სერბები ჩვენ მოგვიხდნენ და თუ სასწაული არ მოხდა, მატჩის დებიუტში „13 ქართველის" დაქუხებულ საბრძოლო ფერხულს სტუმართა რბევა უნდა მოჰყვეს.

მარჯანიშვილის ქუჩაზე გახსნილ ინგლისური ჩაის სახლში ნაკრების თავკაცობამ პრესკონფერენცია გამართა და ახალი ფორმაც წარადგინა.

# კვირას საქართველო მოიგებს

## ...ოღონდ ბრაზილია-ურუგვაი არ განმეორდეს

**ჩვენს** კითხვებს პასუხობდნენ: ლიგის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი პაატა ცინცაძე, ფედერაციის განვითარების მენეჯერი და მოქმედი მორაგბე ნოდარ ანდღულაძე, ნაკრების კაპიტანი კახა ალანია და ნაკრების კონსულტანტი ვინ ვები, რომელიც მწვრთნელ ირაკლი კეკელიძეს უდგას მხარში. მომავალ შეხვედრაში მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს სწორედ ვინ ვები იკისრებს.

პრესკონფერენცია პაატა ცინცაძემ გახსნა და ზოგადი შესავლის შემდეგ სამომავლო გეგმებზე ჩამოაგდო სიტყვა.

— საკმაოდ გადატვირთული კალენდარი გვაქვს და ამიერიდან უფრო ხშირ-ხშირად შევხვდებით ერთმანეთს. ყველას იმედი გვაქვს, რომ ერთა თასზე მოვხვდებით, პირველი მატჩის თარიღიც თითქმის დაზუსტებულია. საფრანგეთი კანში გვიმასპინძლებს 15 ან 16 ოქტომბერს. საქმე ისაა, რომ კანის საფეხბურთო გუნდი ამავე სტადიონზე თამაშობს და მათი კალენდარი ჯერ არ დაზუსტებულა. თუ ფეხბურთელებმა 16-ში ითამაშეს, ჩვენი მატჩი ერთი დღით ადრე, 15-ში დაინიშნება, ხოლო თუ 17-ში ინებეს ბურთის გაგორება, ჩვენ შესაბამისად 16-ში მოგვიწევს თამაში.

მომდევნო თამაშთან დაკავშირებით ვითარება უფრო ბუნდოვანია, რადგან რეგლამენტის მიხედვით, სამგუნდა ჯგუფში ყველამ ერთი საშინაო და ერთი გასვლითი შეხვედრა უნდა ჩაატაროს, მაგრამ ფრანგები აცხადებენ, საქარველოს მიღების შემდეგ, ორ კვირაში რუსეთთანაც ჩვენ ვიქნებით მასპინძლებიო. რატომ ხდება ასე, ვერ გეტყვით. შეიძლება, რუსებს იმის შნო არა აქვთ, ფრანგებს უმასპინძლონ. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსებთან შინ თამაში გვეკუთვნის და ჩვენი დაჟინებული მოთხოვნაა, ეს ასეც მოხდეს. რუსეთში არაფრის დიდებით არ წავალთ და ამის შესახებ ჩვენი პრეტენზიები უკვე განვაცხადეთ.

რაც შეეხება რეგლამენტის სხვა მხარეებს, ტურნირში 6 გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი და ჯგუფების გამარჯვებულები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ფინალური მატჩი საფრანგეთში ან უელსში გაიმართება. საბოლოოდ ამას ევროპის ლიგის რაგბის ფედერაცია გადაწყვეტს.

სანამ 6 ერზე ვლაპარაკობთ, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერ სერბებთან გვაქვს მოსაგები. ისე არ დაგვემართოს, 1950-ში ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობას გაზეთები ურუგვაისთან მატჩამდე წინასწარ რომ ზეიმობდნენ და საბოლოოდ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. იმედი მაქვს, ისტორია არ განმეორდება.

მომავალ მატჩზე კი ჩემზე უკეთ ვინ ვები ისაუბრებს.

მთავამა მწვრთნელმა პრეზიდენტს ესტაფეტა ჩამოართვა და საუბარი ნაკრების მოსამზადებელი პერიოდის განხილვით დაიწყო:

— გუნდთან მაისის შემდეგ ვარ. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განვიცადეთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს ლიგურ რაგბიში და ვცდილობთ, მოთამაშეები ფიზიკურად და ტაქტიკურად მოვამზადოთ. სირთულე იმაშია, რომ მორაგბეები თხუთმეტკაცა რაგბიდან გადმოვიდნენ ცამეტკაცაზე, მაგრამ ქართველებმა საკმაოდ სწრაფად აუღეს ალღო ამ თამაშს. ჩემი ამოცანა მხოლოდ მოთამაშეების მომზადება არ გახლავთ. შევეცდები, მწვრთნელების დონის ამაღლებას და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასაც. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს ისეთ გუნდებთან ტოლ-სწორად თამაში, როგორებიც უელსი, შოტლანდია, ირლანდია, საფრანგეთი და რუსეთი არიან.

**— რა შედეგს ელით საკვირაო მატჩიდან?**

— კვირას საქართველო მოიგებს.

მეტად კონკრეტული და მოკლე პასუხის შემდეგ ინგლისელს სიტყვა ისევ პაატა ცინცაძემ ჩამოართვა და მის საქართველოს ნაკრებთან თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ ისაუბრა.

— რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც გუნდს ასეთი სპეციალისტი უდგას სათავეში, თუმც ჩვენი თანამშრომლობა ჯერჯერობით ამ კონკრეტული მატჩისათვის მომზადებით შემოიფარგლება. თუ გვინდა, რომ ერთა თასზე ღირსეულად ვითამაშოთ, პერმანენტული მწვრთნელი გვჭირდება და ჩვენც ძიებაში ვართ. მიუხედავად იმისა, დარჩება ვინი პოსტზე, თუ სხვა კანდიდატი შეირჩევა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ ნაკრების კონსულტანტის რანგში მან ჩვენთან ურთიერთობა გააგრძელოს, რადგან უკვე კარგად იცნობს გუნდს და საქართველოსთან საკმაოდ გაშინაურებულია.

**— ნაკრების ფორმირების პირველ ეტაპზე ჩვენს გუნდს სათავეში სამოელი რიჩარდ ალე ედგა. ახლა თუ გაქვთ მასთან ურთიერთობა?**

— რიჩარდ ალესთან კონტაქტი არასოდეს გაგვიწყვეტია. უბრალოდ, იგი საქართველოში გაეროს მისიითაა ჩამოსული და მუშაობის რთული გრაფიკი აქვს. რიჩარდი რომ მუდმივ მწვრთნელად დავნიშნოთ და რომელიმე საპასუხისმგებლო მატჩისას სადმე ცხელ წერტილში, ან რეგიონში გააგზავნონ, უხერხულ ვითარებაში აღმოვჩნდებით. სხვა მხრივ კი მისთვის ნაკრების კარი ყოველთვის ღიაა. ნებისმიერ კარგ სპეციალისტთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

**— საკლუბო ჩემპიონატის ჩატარებას როდისთვის აპირებთ?**

— სერბებთან თამაში 18 ივლისს უნდა ჩატარებულიყო და საშინაო გეგმებიც ამის მიხედვით გვქონდა აწყობილი, თუმც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მატჩის თარიღმა 24-სთვის გადმოიწია, რადგან ჰოლანდიელებსა და სერბებს ანგარიში გავუწიეთ, მაგრამ ასეთი რამ აღარ განმეორდება. საქართველოს ლიგის რაგბის ფედერაციას ისეთივე პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ, როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის ფედერაციას. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ თარიღის შეცვლამ გეგმები აგვირია. ვაპირებდით, ოთხგუნდა ჩემპიონატი ჩაგვეტარებინა და ამისთვის ორი თვე დაგვჭირდა, ახლა კი ცაიტნოტში ვართ. მორაგბეებს ცოტა ხნით მაინც ხომ უნდა მიეცეთ ზაფხულში დასვენების საშუალება. ასეა თუ ისე, რამეს მაინც მოვახერხებთ. თუ ჩემპიონატის ჩატარება ვერ მოესწრო, აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ორ კლუბს ვათამაშებთ ერთმანეთში.

***

**პრესკონფერენციის** დასასრულს ნოდარ ანდღულაძემ ნაკრების სპონსორებს გადაუხადა მადლობა, კაპიტანმა კახა ალანიამ კი ის 20-კაციანი სია გაგვაცნო, რომლიდანაც საკვირაო განაცხადში შესაყვანი 17 მორაგბე აირჩევა:

გიორგი ხოსტაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, დავით გასვიანი, ნიკოლოზ მხეიძე, გიორგი ტრაპაიძე, ოთარ ელოშვილი, ზვიად მაისურაძე, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ლეონჯილია, კახა ალანია (კაპ), ვახტანგ ახვლედიანი, კახა კობახიძე, ედიშერ ჯამრულიძე, ლექსო გეგეჯა, ალექსანდრე გილაური, გიორგი უდესიანი, ზვიად კობერიძე, გიორგი კობერიძე, დავით ყამუტაშვილი, გიორგი ასათიანი.

აქედან ორს, გიორგი ტრაპაიძესა და ვახტანგ ახვლედიანს ტრავმები აწუხებთ და საეჭვოა, თამაში შეძლონ, კიდევ ერთი „ზედმეტის" ვინაობა კი კვირას გაირკვევა.

სხვათა შორის, საქართველოშია ფრანგული კლუბ „კანის" თანაპრეზიდენტი ამარ მესალი, რომელიც, სავარაუდოდ, საფრანგეთში წასაყვანად რამდენიმე მოთამაშეს შეიგულებს.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გუნდები მაყურებელს ცხრის ნახევრისთვის ელიან. მატჩი ცხრაზე დაიწყება, მანამდე კი საზეიმო გახსნა და საინტერესო სანახობა გელით.

**ლადო ფულუკიძე**

**კალათბურთი**

# ჰერბერტმა 15 შემოთვალა სანაკრებო შემადგენლობა ცნობილია

**გუშინ** საბოლოოდ შეირჩა ის შემადგენლობა, რომელიც სექტემბრის ევროსაკვალიფიკაციო მატჩებისთვის 1 აგვისტოდან იტალიაში დაიწყებს შეკრებას. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოთამაშეები ფედერაციის ოფისში შეკრიბა და შემადგენლობაც იქ გამოაცხადა. უფრო ზუსტად, ფედერაციაში ის ხალხი დაიბარეს, ვისი იტალიაში წასვლაც გადაწყვეტილი იყო.

საინტერესოა, როგორ შეირჩა შემადგენლობა, როცა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი თბილისში არ იმყოფებოდა.

ყველაფერს ნათელი ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილთან** გასაუბრებამ მოჰფინა.

— შემადგენლობა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა დაასახელა თავის ქართველ თანაშემწეებთან კონსულტაციის შემდეგ. ბატონმა გორდონმა იმ 15 კალათბურთელის სია გამოაგზავნა, რომლებიც იტალია-გერმანიის ტურნირებსა და შეკრებებში მიიღებენ მონაწილეობას. ესენი არიან: *ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, შემონდ უილიამსი, დავით უგრეხელიძე, ვლადიმერ ბოისა, შიო ხეცურიანი, ირაკლი კეიდია, გიორგი ცინცაძე, დავით საყვარელიძე, გიორგი მდივანი, დავით იმნაძე, ირაკლი ბერიშვილი, ლაშა გემყრელიძე, ანატოლი ბოისა და ვლადიმერ სტეფანია.*

— **სტეფანია სექტემბერში ითამაშებს?**

— თუ გამოჯანმრთელდა და მწყობრში ჩადგა, რა თქმა უნდა, ითამაშებს. სტეფანია შეყვანილია განაცხადში და თუ მზად იქნება, ნაკრებს გერმანიაში შეუერთდება. გერმანიაში ჩავლენ ასევე ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც მანამდე მოტეხილ ხელს მოიშუშებს და შემონდ უილიამსი.

— **უილიამსი იტალიაში რატომ არ იქნება, მასაც ტრავმა აქვს?**

— ტრავმა არა, მაგრამ მომქანცველი სეზონის შემდეგ დასვენებას საჭიროებს. უილიამსი პირადად შეუთანხმდა ჰერბერტს და ნაკრებიდან დროებით გათავისუფლდა.

— **სიაში თხუთმეტი კაცია, ოფიციალურ მატჩში კი მხოლოდ 12 მიიღებს მონაწილეობას.**

— რამდენი მოთამაშეც გერმანიაში შემოგვიერთდება, იმდენი კალათბურთელი დატოვებს ნაკრებს. ანუ თუ ფრანკფურტში სამივე მოთამაშე ჩამოვიდა — ცქიტიშვილი, უილიამსი, სტეფანია — მაშინ ნაკრებს ჰერბერტის გადაწყვეტილებით სამი კაცი დატოვებს და საქართველოში გამობრუნდება.

— **საერთო ჯამში რამდენ სპარინგ-მატჩს გამართავს ეროვნული ნაკრები იტალია-გერმანიაში?**

— თავიდან მივყვეთ: 6 აგვისტოს იტალიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად გავეჯიბრებით, ხოლო 11-13 აგვისტოს ბორმიოს საერთაშორისო ტურნირის ეგიდით კიდევ სამ შეხვედრას გავმართავთ — იმავ იტალიასთან, თურქეთთან და ბულგარეთთან. 15 აგვისტოს გერმანიაში გადავინაცვლებთ და ფრანკფურტში, „სკაილაინერზის“ საწვრთნელ ბაზაზე შევიკრიბებით. იქ 25 აგვისტომდე მოვემზადებით და შემდეგ ბრაუნშვაიგში მორიგ საერთაშორისო ტურნირში სამონაწილეოდ წავალთ. 26-28 აგვისტოს მიყოლებით ვეთამაშებით გერმანიის, საბერძნეთისა და ბელარუსის ეროვნულ ნაკრებებს და შემდეგ კვლავ „სკაილაინერზის“ ბაზას დავუბრუნდებით. სამი დღეც და ჰელსინკში ფინეთის ნაკრებთან უკვე ოფიციალური მატჩის სათამაშოდ გავემგზავრებით.

— **იტალიაში გამგზავრებამდე ნაკრები თუ ივარჯიშებს?**

— ორშაბათიდან „დინამოს“ ბაზაზე შეიკრიბებიან ის მოთამაშეები, რომლებიც თბილისში იმყოფებიან. მათ ნუგზარ კანდელაკი და დავით უსტიაშვილი მოამზადებენ.

**ირაკლი პერტაია**

**მძლეოსნობა**

# ორი რეკორდი ორ წუთში



**ლონდონში** მიმდინარე „სუპერ გრან-პრი იააფის“ ტურნირზე რუსმა ელენა ისინბაევამ დაახლოებით 2 წუთში ზედიზედ ორჯერ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიოს რეკორდი ჭოკით ხტომაში. ჯერ 4 მ და 96 სმ-ზე გადებულ თამასას გადაევლო, მერე კი 5 მეტრიანსაც.

ამგვარად, ისინბაევამ ამ სახეობაში საერთო ჯამში მეჩვიდმეტედ გააუმჯობესა თავისივე მსოფლიოს რეკორდი და გახდა პირველი ქალი, ვინც 5 მეტრიან თამასას გადაევლო.

**ცურვა**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი, 17-31 ივლისი**



ალექსანდრ დესპატიემ კანადას მეორე ოქრო მოუპოვა

# დიდიე დიდებულია

## ვირჟინი დიდიემ დახატა და დახაზა

**პარიზის** მერე მსოფლიოში სიდიდით მეორე ფრანგულენოვან ქალაქ მონრეალში ფრანგთა დელეგაციამ იქნებ ველარანაირი სინჯის მედალი ველარ მოირეწოს, მაგრამ გუშინწინ მათმა სინქრონული ცურვის ვარსკვლავმა ვირჟინი დიდიემ მაყურებელსა და მსაჯებს ისეთი წარმოდგენა აჩვენა, ჯანდაბას მსოფლიოს ყველა ოქრო და მადლობის სიგელი.

წინა, 2003 წლის ბარსელონის მსოფლიოს პირველობის ჩემპიონი ვირჟინი მონრეალშიც მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და ფინალური გამოსვლა ისეთი ლაღი და სრულყოფილი გამოუვიდა, აღტაცებაში მოსულ და პირდაღებულ მსაჯებს წამითაც არ უყოყმანიათ, მაშინვე საჩემპიონო კალიბრის ქულები დაუწერეს — 10 არბიტრიდან შვიდმა უმაღლესი, 10 ქულა სავსებით სამართლიანად ჩაუთვალა კირჟინის, რომელიც ამ დროს წყლიდან ამოსულიც სველდებოდა — მოძალებული სიხარულისგან ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა. მიმომხილველი წერს, მის გამოსვლაში ყველაფერი იდეალურად იყო შერწყმული — ტექნიკაც და არტისტიზმიც, თვით მუსიკალური ფონიც, ისლანდიელი მომღერლის, ბიორკის მჩქეფარე ჰანგებიც თითქოს სწორედ ვირჟინი დიდიეს სპექტაკლისთვის შეუქმნიათო.

დიდიე არც ისე ასაკოვანია, 26 წლის გახლავთ, თუმც მონრეალში გამოსვლის შემდეგ კარიერის დასრულება გადაეწყვიტა და... „მინდოდა, ზედიზედ ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ წავსულიყავი — აცრემლებული ჩემპიონი საჩემპიონო კომენტარისას სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს — მინდოდა, რომ ალალად მომეგო, ჩემი თავი ყველასთვის დამემახსოვრებინა და ასე წავსულიყავი“.

მისთვის ტაშს და ქულებს არასდროს იშურებდნენ მაყურებლები და მსაჯები და ახლაც არ დასწყვიტეს გული.

ეჰ, რა გოგო ამოვიდა აუზიდან!..

ინდივიდუალურ სინქრონულ ცურვაში მეორე ადგილი 19 წლის რუს ნატალია იშჩენკოს ერგო, ვინაც შარშან მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იპირველა და დიდიეს წასვლის შემდეგ იქნებ ამ სახეობაში მატრიარქიც გახდეს, მესამე ადგილი და ბრინჯაო კი ესპანელ ხემა მენგუალს შეხვდა.

21 ივლისს მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა — წყალში მხტომელი ვაჟები ერთმანეთს მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეეჯიბრნენ და აქაც შესამჩნევი უპირატესობით იმარჯვა კანადელმა ჯილა ალექსანდრ დესპატიემ, რომელმაც მანამდე ორი დღით ადრე 3-მეტრიან ტრამპლინზეც იჩემპიონა. კანადელი პირველივე ხტომის შემდეგ დაწინაურდა და ბოლომდე აღარ გაუმრუდებია საქმე. მშვენიერი დღე იყო, შინ ორი მედლით წავალო — ამბობდა ის, ვინაც ფაქტობრივად სამშობლოშია, მაგრამ მისი ქალაქი ვანკუვერი მონრეალს ბარე ორი ათასი კილომეტრითაა მოწყვეტილი.

**კოტე ყორშია**



ვირჟინი დიდიე

**სინქრონული ცურვა**

სოლო ვარჯიში

1 ვირჟინი დიდიე (საფრანგეთი) 99 001
2 ნატალია იშჩენკო (რუსეთი) 98 250
3 ხემა მენგუალი (ესპანეთი) 97 417

**წყალში ხტომა**

კაცები 1 მ ტრამპლინი

1 ალექსანდრ დესპატიე (კანადა) 489.69
2 ქსუ ქსიანი (ჩინეთი) 445.68
3 ვან ფენი (ჩინეთი) 445.56

**წყალბურთი**

ქალები. ჯგუფური ეტაპი

III ტური

**A ჯგუფი**

**იტალია 14:5 ვენესუელა**

**კანადა 10:5 კუბა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 3 | 0 | 0 | 16 | 6 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 15 | 4 |
| კუბა | 0 | 1 | 2 | -12 | 1 |
| ვენესუელა | 0 | 1 | 2 | -19 | 1 |

**B ჯგუფი**

**აშშ 18:2 ჩინეთი**

**უნგრეთი 8:5 ესპანეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 18 | 6 |
| აშშ | 1 | 1 | 1 | 15 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 1 | 9 | 3 |
| ჩინეთი | 0 | 0 | 3 | -42 | 0 |

**C ჯგუფი**

**რუსეთი 13:1 ახალი ზელანდია**

**საბერძნეთი 14:4 უზბეკეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 30 | 5 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 15 | 5 |
| ახ. ზელანდია | 1 | 0 | 2 | -12 | 2 |
| უზბეკეთი | 0 | 0 | 3 | -33 | 0 |

**D ჯგუფი**

**ავსტრალია 9:2 ჰოლანდია**

**ბრაზილია 6:6 გერმანია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | 27 | 6 |
| გერმანია | 1 | 1 | 1 | -12 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 2 | -7 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 1 | 2 | -8 | 1 |

# მზეთუნახავი მახუ

## მის მსოფლიო და მისი ცხოვრება

**როდესაც მარია ხულია ანუ მახუ მანტილია „მის პერუდ“ აირჩიეს, მან განაცხადა, რომ ყველაზე დიდ ოცნებად მძლეოსანთა რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში თავისი ქვეყნის სახელით გამოსვლა ჰქონდა ქცეული. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველა ოცნებას ახდენა როდი უწერია. კაცმა რომ თქვას, მარია ხულია რჩეულთა ტოლფასი მძლეოსნური ნიჭით არც გამოდგა დაჯილდოვებული — ყველაზე მეტი რაც შეძლო, პერუს სკოლის მოსწავლეთა ჩემპიონობა გახლდათ, მაგრამ 2004 წელს მას მაინც მიეცა სამშობლოსთვის საერთაშორისო დიდების მოტანის შესაძლებლობა — „მის მსოფლიოს“ კონკურსზე გავიდა და გაიმარჯვა...**





**— როდის დაიწყეთ მძლეოსნობაში ვარჯიში?**

— 1994 წელს ტრუხილოს ცენტრიდან მანსიჩეს სტადიონამდე მინი მარათონი ვირბინე და მეოთხე ადგილზე გავედი. შემდეგ წელიწადს უკვე პერუს სკოლის თამაშებში, ეგრეთწოდებული ADECORE-ში მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე.

**— თქვენი პასუხიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მძლეოსნობაზე მისვლამდე უკვე კარგი მძლეოსანი იყავით.**

— დიახ! (იცინის) ამის შემდეგ კი პროფესორ მაკუისთან დავიწყე ვარჯიში. პროფესორი მაკუი ჩემს სკოლაში მუშაობდა მძლეოსნობის მწვრთნელად. 1996 წელს, საშუალო სკოლის დაწყებითის შემდეგი ეტაპი! მეორე კლასში რომ ვიყავი, ეროვნულ ჩემპიონატზე გავედი და ტრიატლონში მოვხსენჯე ძალა. ტრიატლონში, მოგეხსენებათ, შედის 400 მეტრზე რბენა და სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომები. აი, სწორედ იმ პერიოდში დავიწყე მართლა ვარჯიში. ჯერ ტომას პოლო მხელმძღვანელობდა, შემდეგ ოსკარ როდრიგესი. ამ ორ სპეციალისტთან ახალგაზრდების პროგრამაში შეტანილი ყველა დისციპლინა დავხვეწე.

**— და, რომელ დისციპლინებში გამოდიოდით?**

— სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, აგრეთვე 4X100მ ესტაფეტაში. 1998 წელს ტაკნაში პერუს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ვმონაწილეობდი და ოთხივე მონაწილედან მეორე ადგილზე გავედი. ამაზე ძლიერად არასდროს გამოვსულვარ. იმ შეჯიბრებაში ესტაფეტასა და სიგრძეზე ხტომაში ვერცხლის მედლები მივიღე. შემდეგ იყო 1999 წელი, როდესაც არეკიპაში სასკოლო თამაშები მოეწყო. იქ უკვე პენტატლონში მოვსინჯე ძალა. სხვათა შორის, სიგრძეზე ხტომაში მესამე ვიყავი და ამით იმავე შეჯიბრებაში ფირმა „ტელეფონიკას“ სპონსორობა მოვიგე.

**— მერე კი ახალი ათასწლეულიც დაიწყო და...**

— 2000 წელს ლიმაში, ADECORE-ს ეროვნულ ჩემპიონატში გამოვედი და ტრიატლონში მესამეობა შევძელი. ამასობაში კოლეჯიც დავამთავრე და ინტენსიურ ვარჯიშს ვუმატე, მაგრამ მოხდა ცუდი რამ: უნივერსიტეტის სახელით კალათბურთელთა ჩემპიონატში რომ გამოვდიოდი, მუხლი ისე დავიშავე, რომ მითხრეს, მისი სრულყოფილი მკურნალობა შეუძლებელი იქნებაო.

**— და ეს იყო რთული დრო თქვენს ცხოვრებაში, ხომ?**

— მუხლის ტრავმის გამო კარგა ხანი საერთოდ ვერ ვვარჯიშობდი. ჩემი, ტრუხილოს უნივერსიტეტის სახელით ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

**— თუ შეიძლება, გვითხარით, რა ფაკულტეტზე სწავლობდით ტრუხილოს უნივერსიტეტში?**

— ჯერ არ დამიმთავრებია. საბოლოოდ საშუალო სკოლის მასწავლებელი უნდა გამოვიდე. საბედნიეროდ, ახლა ბევრი გამოცდის წინასწარ ჩაბარების საშუალება მომეცა, თორემ წლეულს პერუში ყოფნა ფაქტობრივად არ მიწევს და ისე ძალიან გამიჭირდებოდა. სხვათა შორის, მალე, პერუში სწავლას დავასრულებ და უცხოეთში დავიწყებ. ეს სწორედ ისაა, რასაც ამ ეტაპზე ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ.

**— და, მძლეოსნობაში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით დაშავებული მუხლი არ მაძლევს საშუალებას. ისე, საქმე მაინც გამოჯანმრთელებისკენ მიდის. თან, „მის მსოფლიოს“ შეჯიბრებამ ძნელი დრო კარგად გადამატანინა.

**— საინტერესოა, „მის მსოფლიომდე“ რა რეჟიმით ვარჯიშობდით.**

— სასწავლო დღეებში სამიდან ექვსამდე კოლეჯის ლექციების შემდეგ, შაბათობით კი „მანსიჩეს“ სტადიონზე დილის შვიდიდან ცხრის ნახევრამდე. მოკლედ, ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მთელ ცხოვრებას ვარჯიშში ვატარებდი. მერედა, დაქანცულს სახლში მიბრუნების შემდეგ ცოტა ხომ კიდევ უნდა მემეცადინა.

**— რამდენი წლის ბრძანდებით?**

— ოცის... და იმედი მაქვს, რომ მძლეოსნობაში დაბრუნებას მაინც შევძლებ.

**— მოდით, თქვენს მაშინდელ ფორმას ახლანდელი შეადარეთ.**

— მძლეოსნობას ერთი კარგი თვისება აქვს, ხელებს და ფეხებს გიძლიერებს. ჩემი ადრინდელი სავარჯიშო პროგრამის კმაყოფილი იმიტომ ვარ, რომ მასზე დაყრდნობით ფორმის აღდგენას შევძლებ.

**— სიმძიმეებით მუშაობთ?**

— დიახ, როგორ არა, საკმაოდ ხშირად. ზურგზე ვიწყობ და ხან გზაზე, ხანაც კიბეებზე დავრბივარ.

**— მოკლედ, ტანჯვა თქვენთვის უცხო ხილი არ ყოფილა.**

— დიახ (იცინის), ნამდვილად ვიცი რაც არის.

**— კეთილი, მაშ ის გვითხარით, მძლეოსანთაგან ვის ეთაყვანებით?**

— მორის გრინს, ხავიერ სოტომაიორს, ივან პედროსოს და მარი ჟოზე პერეკს.... რომლისაც საკმაოდ მშურს. ატლანტის ოლიმპიადაზე მისი გამოსვლები ვიდეოზე მქონდა ჩაწერილი. აი, ასპარეზობა...

**— ათენის ოლიმპიადას უყურეთ?**

— ცოტას. ვნახე 110 მეტრზე თარჯრბენის ფინალი და ლიუ ქსიანგის გამარჯვება. აგრეთვე ქალთა მარათონის ნახვა შევძელი. მიზუკი ნოგუჩიმ ჩინებულად გაიმარჯვა.

**— თქვენმა სპორტსმენობამ სილამაზის კონკურსებში თუ შეგიწყოთ ხელი?**

— საკმაოდ. სპორტსმენობის გამო მიჩვეული ვიყავი დისციპლინირებულ, პირადი ცხოვრების გარეშე ყოფას. ვდგებოდი ადრე, ვაკონტროლებდი კვებას, შეჯიბრების პროცესში თავი ხელში ამყავდა...

**— მაშ პირადი ცხოვრება დაგიზარალდათ...**

— საკმაოდ. ფაქტობრივად, მეგობრებთან გვიანობამდე არასდროს ვრჩები.

**— გული გწყდებათ?**

— არა, იმიტომ, რომ ეს უკვე გამომუშავებული მაქვს. თან, მძლეოსნობა ჩემი სულის ნაწილია.

**— და-ძმა გყავთ?**

— და მყავს. ერთი წლით უფროსია. ელია ჰქვია. ისიც მძლეოსანია, კოლეჯში სწავლობს და 400 მეტრზე დარბის.

**— მშობლები გეყოლებათ სპორტული...**

— მამა სან ხუანის კოლეჯში სწავლისას შუბოსანი და სიგრძეზე მხტომელი გახლდათ, დედა კი ფრენბურთელი იყო.

**— მახუ, ბოლო დროს თქვენ სულ მოგზაურობთ. პეკინში რომ იქნებით, მომავალი ოლიმპიადის რომელიმე სარბიელს ხომ არ ნახავთ?**

— დიდი სიამოვნებით ვნახავდი, მაგრამ არ ვიცი, სად ვიქნები. შესაძლოა, პეკინში მხოლოდ ერთი დღით მოვხვდე, მეორე დღეს კი უკვე სხვა ქვეყანაში ამოვყო თავი...

*IAAF magazine*







# რეკორდზე ცაციაობაა



ენდი როდიკი

**MERCEDES CUP**
**შტუტგარტი. თიხნარი**
**590 ათასი €**

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 7:6 (7:3) 6:3; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — პოლ-ანრი მათიო (16, საფრანგეთი) 6:2 6:7 (3:7) 6:0; **ანდრეას სეპი** (იტალია) — ტომი რობრედო (4, ესპანეთი) 7:5 2:6 6:1; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ირჟი ნოვაკი (6, ჩეხეთი) 2:6 6:2 7:6 (10:8); **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (7:4) 6:1; **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4 7:6 (7:4); **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 (7:3) 6:1

**როგორც** რომ გუშინ მოგახსენებდით, 19 წლის ესპანელ ფასკუნჯ რაფაელ ნადალს ერთი თიხნარმოგებალა სჭირდებოდა, ღია პირველობათა ერაში ზედიზედ ყველაზე მეტი თიხნარგამარჯვებების მომხვეჭთა ჩამონათვალში მეორე ადგილზე ჯგუფურად მდგომ ბიორნ ბორგს, გილერმო კორიასა და მატს ვილანდერს რომ გატოლსაფეხურებოდა.

ჰოდა, ასეც მოხდა. ულონიერესმა ცაცია ვუნდერმუჩაჩომ მესამე წრეში თვისტომი ფერნანდო ვერდასკო შემუსრა და ზედიზედ 31-ე სათიხნარო შეხვედრის მოგებით ზემოთხსენებულ სამ მეჩოგნეს ამოეგვერდა.

ახლა მისი მიზანი მისებრ ცაცია ტომას მუსტერის რეკორდია. ამ განთქმულმა ავსტრიელმა — და ამის თაობაზეც გუშინვე გახსენებდით — 1995 წელს ზედიზედ 40 სათიხნარო მატჩი მოიგო.

სხვაფრივ — ნადალის პარალელურად გაივაკეს მისმა უმთავრესმა მოცილეებმა ნიკოლაი დავიდენკომ და გასტონ გაუდიომ. გაუდიო, ვისაც წლეულს ოთხ თიხნარტურნირზე უმარჯვია და ამ მაჩვენებლით მხოლოდ სწორედ (შვიდი თიხნარტიტულის მომრეწ) ნადალს ჩამორჩება, იმ დღეს ცოტა გაჭირვებით გასცდა პოლ-ანრი მათიოს. დახვეწილად მობურთალმა დავიდენკომ კი მასპინძელთა ჯილათაგან ვასკესთან მხოლოდ პირველ სეტში იოფლიანა.

**THE PRIORITY TELECOM OPEN**
**ამერსფორტი. თიხნარი**
**302 ათასი €**

**მესამე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:3 6:3; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — კევინ კიმი (აშშ) 6:1 6:3; **ტაილორ დენტი** (აშშ) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:2 6:2; **გრეგ რუზედსკი** (7, ბრიტანეთი) — კენეტ კარლსენი (12, დანია) 7:6 (7:3) 6:2; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (9, ტაილანდი) 6:0 6:4; **კაროლ ბეკი** (10, სლოვაკეთი) — რაჯივ რამი (აშშ) 6:2 6:4

**ორგზის** ტიტულდამცველმა ენდი როდიკმა ებრაელ ნოამ ოკუნს იოლად აჯობა და თავისი ინდიანაპოლისური ბალანსი 12:0-მდე გაიუმჯობესა.

ასევე არ გასჭირვებია გამეოთხედფინალება გერმანელ ნიკოლას კიფერს, ვინაც შარშანდელი ფინალისტია და შანსი აქვს, სატიტულე შეხლაში ამ ჯერზეც ენდიბოისთან წაიკეჭნაოს.

# ჯენიფერარი ნიუ იორკს ჩაუვლის



**ჯენიფერ** კაპრიატი ერთადერთი იქნება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დიდი მუზარადის ტურნირებზე გაჩემპიონებული ქალებიდან, აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობაზე რომ არ გამოვა.

ამის მიზეზი ჯენის მტკივანი მხარია, რამაც მას ჩოგნის დროებით ჩამოკიდება ჯერ კიდევ შარშანდელ ნოემბერში აიძულა და იანვარში გადატანილი ოპერაციის შემდეგ ჯერაც არ მოჰშუშებია.

ამდენხნიანი უქმობის გამო ჯენი რეიტინგსიის 42-ე ადგილამდე ჩამოიქვეთდა. ასე რომ, იმ შემთხვევაშიც კი, სექტემბრამდე ნაოპერაციევი მხრის ბოლომდე აღდგენის იმედიც რომ ჰქონდეს, იმის იმედი ნაღდად ვერ ექნება, რომ აშშ-ის ღია პირველობის პირველსავე წრეში ზემოთნახსენები ჩემპიონებიდან რომელსამეს არ გადაეყრება.

ეს ჩემპიონები კი — ბარემ ესეც შევიხსენოთ — ვინუს და სერენა უილიამსები, ლინდსი დევენპორტი, ჟუსტინ ენენ-არდენი, მარია შარაპოვა, ანასტასია მისკინა და აშშ-ობის შარშანდელი ჩემპიონი სვეტლანა კუზნეცოვა გახლავან.

რაც შეეხება თავად ჯენის, მას 2001-02 ავსტრალიის ღია პირველობასა და 2001 წლის საფრანგეთის ღია პირველობაზე უმარჯვნია.



# რიდიკ ბოუმ, მე არ მეცირკებაო

**როგორც** ვიუწყებოდით, მაიკ ტაისონი შესაძლოა გამოვიდეს ვეტერანთა ტურნირზე, სადაც მის სავარაუდო მეტოქეთაგან ევანდერ ჰოლიფილდთან ერთად რიდიკ ბოუც უნდა ყოფილიყო.

რიდიკ ბოუ შვიდწლიანი შესვენების შემდეგ ამ ცოტა ხნის წინათ რინგს დაუბრუნდა, მაგრამ ამბობს, რომ ვეტერანთა ტურნირზე მონაწილეობა სულაც არ მაინტერესებსო.

შეგახსენებთ, ვეტერანთა ტურნირის გამართვის იდეა წამოაყენა ტაისონის მწვრთნელმა ჯეფ ფენეკმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მაიკს შეუძლია კარგად იბრძოლოს ოთხი რაუნდის განმავლობაშიო, მაგრამ ბოუ უფრო სერიოზულ მიზნებს ისახავს:

„მე ძველებურად ვუმიზნებ ყველაზე დიდ მიღწევას — სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. მეეჭვება, რომ ვეტერანთა ტურნირზე გამართულ ცირკში ჰოლიფილდმა მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადოს".



**XII ეტაპი** **გერმანიის დიდი პრიზი**

## ჰოკენჰაიმრინგი

*ჰოკენჰაიმი, 24 ივლისი*



**ტრასის სიგრძე** ------------------------------ 4.574 კმ
**რბოლის დისტანცია** -------------------- 67 წრე — 306.458 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ბატონი (**B.A.R.**); 3 ალონსო (რენო); 4 კულჰარდი (მაკლარენი); 5 მონტოია (უილიამსი); 6 ვებერი (იაგუარი); 7 პიცონია (უილიამსი); 8 სატო (**B.A.R.**)

**წრის რეკორდი**: 2004 — რაიკონენი (მაკლარენი) 1:13,780 (223,2 კმ/სთ)

# ფერნანდოს ხუანის ეშინია
# ფული ფორმულას ანათებს

**ჰოკენჰაიმის** ლეგენდარულ ავტოდრომზე ხვალ 29-ედ გაიმართება გერმანიის დიდი პრიზი. 23-ჯერ რბოლას „ნიურბურგრინგმა" უმასპინძლა, ერთხელაც (1959) — ბერლინის მახლობლად მოწყობილმა „აფუსმა".

დღევანდელებიდან ყველაზე მეტი, სამი გამარჯვება აქვს მიხაელ შუმახერს, თითო — რუბენს ბარიკელოს (2000), რალფ შუმახერს (2001) და ხუან-პაბლო მონტოიას (2003). თუმც ხვალინდელ რბოლაში ფავორიტებად არც ისინი ითვლებიან და არც ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო („რენო"), არამედ მეორე ადგილზე მყოფი მაკლარენელი კიმი რაიკონენი. ბუქმეიკერები 25 წლის ფინელის შანსს 2,25 კოეფიციენტით აფასებენ. ალონსო მეორეა — 3,9, შემდეგ წინა, ბრიტანული ეტაპის მომგები მონტოია — 5,5, მიხაელ შუმახერი — 7,0, ფიზიკელა — 13,0.

23 წლის ნანდო, თუმც 26 ქულით უსწრებს რაიკონენს და ყოველი რბოლის შემდეგ სულ უფრო უახლოვდება სანუკვარ მიზანს, მაინც უფრთხის ფინელსაც და მის თანამაკელ მონტოიას:

„ხუან-პაბლო აგრესიული სტილის მიმდევარია და მასთან გაორმაგებული ყურადღებით ყოფნა აუცილებელია, თორემ შესაძლოა, რბოლა ბალახში დაასრულოთ. საიდუმლო არაა, რომ „მაკლარენი" საღღეისოდ „რენოზე" უკეთესია. ეს ჩემთვის ორმაგად უსიამოვნოა, რადგან მონტოიას შეუძლია, ადვილად წამართვას ქულები და ამით კიმის დაეხმაროს. რაც შეეხება მიხაელს, მას ძალიან გაუჭირდება ჩემი და რაიკონენის დაწევა. მაგრამ თუ „ფერარიში" საბურავების პრობლემას მოაგვარებენ, მალე ისევ შეძლებენ გამარჯვებისთვის ბრძოლას."

შუმი კმაყოფილი კი დარჩა თავისი ბედაურის ახალი აეროდინამიკური პაკეტით, რომელიც იტალიასა და საფრანგეთში ტესტებისას გამოცადეს, მაგრამ მშობლიურ ტრეკზე რბოლის წინ მაინცდამაინც ოპტიმისტურად ვერ არის.

„სკუდერია" ისევ არაფრად აგდებს თავისი ცხრა კოლეგა საკონსტრუქტორის შეთანხმებას ეტაპამდე ერთი კვირით ადრე ვარჯიშის აკრძალვაზე. სამშაბათ-ოთხშაბათსაც შუმახერი, მარკ ჟენე და ლუკა ბადოერი ახალი საბურავების და აეროდინამიკის გამოცდას აგრძელებდნენ.

ცვლილებაა მაჩანჩალა „მინარდის" შემადგენლობაში. 24 წლის ავსტრიელ პატრიკ ფრიზახერის ნაცვლად „ჰოკენჰაიმრინგზე" „მინარდის" სათადარიგო მძღოლი რობერტ დორნბოსი გაიჯირითებს. ფრიზახერის მოხსნის მიზეზი გახდა ის, რომ მისი სპონსორები „მინარდის" ფულს ველარ უხდიან.

დორნბოსი ჰოლანდიელია, სექტემბერში 24 წლის შესრულდება. ორი სეზონი „ჯორდანში" მეტესტედ მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ „მინარდის" მეორე პილოტი, 25 წლის კრისტიან ალბერსიც ნიდერლანდელია.

კვლავ გადაიდო ახალი „ჯორდანის" დებიუტი. გუნდი „EJ 15B"-ის გამოყვანას ოცი დღის წინ, საფრანგეთში აპირებდა, მაგრამ მანქანა საიმედო არ იყო, რის გამოც ეგებ სექტემბერში იტალიის დიდი პრიზის გათამაშებამდე ვერ ვიხილოთ საქმეში.

გუშინ პირველ ცდაზე ყველაზე სწრაფი „მაკლარენ-მერსედესის" ტესტმძღოლ ალექს ვურცის მანქანა იყო. რაიკონენმა მესამე დრო აჩვენა, მეოთხე BAR-ელმა ჯენსონ ბატონმა, შემდეგ იყვნენ მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო...

რენოელებმა ალონსომ და ფიზიკელამ ძრავა სარბოლოდ დაზოგეს, მხოლოდ გასახურებელი წრეები გაიარეს და ბოქსებში შეუხვიეს.

ორი საათის შემდეგ მეორე გასვლაზეც ვურცი იყო საუკეთესო, მეორე — რაიკონენი. ალონსო კიმის წამით ჩამორჩა, მეოთხე შედეგი მონტოიამ დააფიქსირა, ხოლო დორნბოსმა ვურცთან ოთხი წამი წააგო.

**გია ახალაძე**

# პუკეტელი ბიჭები

ტაილანდს ცნობილ სპორტსმენთა მორიგი დესანტი სწვევია, რათა საშინელი ცუნამისგან დაზაფრულ ხალხს სიცოცხლის ხალისი გაუღვივონ. პუკეტის პროვინციის უწვერულ ფეხბურთელებს „ევერტონის" მენეჯერი დევიდ მოიესი ებურთავებოდა. პუკეტშივე არიან სამი პრემიერლიგური გუნდის წევრებიც.




AFP პუკეტიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ბილბაოდან

# დალაშქრა და ჩაიბარა

ეს ქალბატონი, ასე იჭვნეულად რომ იმზირება ფოტოდან, ვინ ვინ და, ერთადერთი მდედრი გახლავთ მსოფლიოში, რომელსაც 8 რვაათასიანი მწვერვალი დაულაშქრავს. ესპანელმა ედურნე პასაბანმა 8-ათასიან ნანგა პარბატზე სამი დღის წინ დადგა ფეხი და ბასკეთის ქალაქ ბილბაოში ალალად ჩაიბარა მთამსვლელთათვის გამორჩეული, „საბინო არაბა ფაუნდეიშენის" ჯილდო.

# მოტოაღლუმი ტალინში

28 ქვეყნის ბარე 1600 მოტოტურისტი ტალინში შეკრებილა, სადაც ამ ჰობის მქონეთა მე-60 საიუბილეო მსვლელობა მოეწყო. აქ მხოლოდ ორი მოტომოგზაური ჩანს, ისე კი, რომ გადაბმულან, ორთვალებს ორკილომეტრიანი ცოცხალი ჯაჭვი გაუბამთ ქალაქის ქუჩებში.



AFP ტალინიდან

# ბიჭოს მსხვერპლი




ეს ფოტო არქივიდანაა: ანჟეი გრუბა ჩოგანს იქნევს ევროპისა და აზიის ნაკრებთა დაპირისპირებისას, რომელიც 1986 წელს პარიზში გაიმართა. პოლონეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციამ გუშინწინ გამოაცხადა, რომ ანჟეი გრუბა 47 წლის ასაკში კიბომ იმსხვერპლა.

# გაფრინდა



AFP ცინცინატიდან

აი, ასე, ჰორიზონტივით გაწელილა რაიან ფრილი ცინცინატურ მწვანეზე. ის მძლავრად გატყორცნილ ბეისბოლ-ბურთულისკენ მიფრინავს, ხოლო მისმა „რედსმა" „ჩიკაგო ქუბზი" 9:5 დაამარცხა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალანდაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღელაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია პეტელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელეჩაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლეილაშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, ზეიად მისაშვილი, თინიკო ფიფუხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge